ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 თებერვალი, 2018 №29 (7574) ფასი: 50 თეთრი

„თავდებში არავის ჩაუდგეთ“

გვ.7

1 თებერვლიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„51-ე სკოლასთან ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე „ოცნების“ დეპუტატის შვილია“

ზვიად კუპრავა: „დეპუტატის ვინაობას ამ დღეებში დავასახელებ“

გვ.4

მაჩალიკაშვილების ოჯახი: „პანკისი საქართველოს ნაწილია და ჩვენ სხვა სამშობლო არ გვაქვს“

გვ.4

„ხელისუფლება ცდილობს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას შევეგუოთ“

გვ.3

გვ.4

ნანა დევდარიანი: „ვასიკო მაღლაფერიძეზე არ ვიტყვი, მკვდარზე ვენოკია-მეთქი“

გვ.2

„ქურდებთან უბრალო კონტაქტის გამო ადამიანის დასჯა სისულელეა“

„იგივე სისტემა იმავე მურუსიძით, მითხარით, რა გამოდის?!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნებას“ ჯერ კიდევ აქვს პროცესის შემობრუნების დრო“ გვ.2

ეკონომიკა

გვ.6

ქუმსიშვილი: „შავ ჯიპებს ეკონომიური მანქანებით შევცვლით“

ეკონომიკური თავისუფლების მხრივ საქართველო მე-16 ადგილზეა

საქართველოში საშუალო მარნის მოსაწყობად 50.000 ლარია საჭირო

რა თანხა დაგჭირდებათ მეღვინეობის დასაწყებად

საქართველოში ბარათებით ოპერაციები 34,5%-ით გაიზარდა

„მშენებლობებზე რეგულაციები უნდა გამკაცრდეს“

ISSN 1987-9385

7 ხობში მატარებელმა 78 წლის ქალი გაიტანა

4 კიევიდან თბილისში მომავალ თვითმფრინავს სამუხრუჭო სისტემა გაეთიშა და თბილისის აეროპორტში ავარიულად დაეშვა

7 ნათია მეზვრიშვილი: „კანონიერ ქურდს საზღვარზევე დავიჭერთ“

5 „სახელმწიფომ ტენდერების პოლიტიკა უნდა შეცვალოს“

„ქურდებთან უბრალო კონტაქტის გამო ადამიანის დასჯა სისულელეა“

გელა ნიკოლაიშვილი: „ბრალის სამაგალითოდ დამძიმება სწორი არ არის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" ჟითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

– ბატონო გელა, 2 თანატოლის დაჭრაში ბრალდებულ 18 წლის ახალგაზრდას ბრალი დაუმძიმდა. ადვოკატის განცხადებას, რომ ის წარჩინებული მოსწავლე იყო, საზოგადოების უკმაყოფილება მოჰყვა. რატომ დაუმძიმეს ბრალი, ამ პირის სამაგალითოდ დასჯას აპირებენ?

– სამაგალითოდ დასჯა არათუ ამ კონკრეტული მოსწავლის, არამედ არცერთი ადამიანისა არ შეიძლება იმისთვის, რომ ეს ვიღაცისთვის მაგალითი გახდეს. ყველა ადამიანი უნდა დაისაჯოს იმ დანაშაულის ადეკვატურად, რომელიც მან ჩაიდინა. ამ კონკრეტული მოსწავლის საქმეზე რომ გავაგრძელოთ საუბარი, ამას მეც მივაქციე ყურადღება, თავიდან, როდესაც მოხდა მოზარდის დაკავება, იქ იყო საუბარი სხეულის მძიმე დაზიანებაზე და არა – მკვლელობის მცდელობაზე.

– 3-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, ახლა კი 20 წლამდე და უვადო პატიმრობასაც კი ითვალისწინებს.

– დიახ. თავიდან დაიწერა, რომ არცერთი ჭრილობა არ იყო შემავალი, ქირურგიული ჩარევაც არ დასჭირდათ და სიცოცხლისთვის საშიში ეს არ ყოფილა. მკვლელობის მცდელობა შეესაძლოა სწორედ იმიტომ გააკეთეს, რომ სამაგალითო ყოფილიყო და სამაგალითოდ დაემძიმებინათ. ეს არ არის სწორი. თუ მონაცემები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოძიებამ ასეთი მძიმე მუხლი წაუყენოს, მხოლოდ საჩვენებლად და სამაგალითოდ ეს არ უნდა გააკეთონ.

– რატომ გახშირდა მოზარდებში ასეთი დაუნდობლობა?

– ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის თავისუფლება, რომელიც იგრძნეს საზოგადოებამ და მოზარდებმა წინა რეჟიმის შემდეგ. დღეს ციხეში ადამიანური პირობებია და შეიძლება, ეს, ერთი მხრივ, მას სტიმულს აძლევს, რომ აღარ ეშინოდეს ციხეში წასვლის.

მეორე მიზეზი აღზრდის პრობლემაა, ის ღირებულებები, ფასეულობები, რომლებზეც იზრდებიან ჩვენი ახალგაზრდები. ჩვენი თაობა, იმის წინა თაობა უფრო სხვა ღირებულებებზე იზრდებოდნენ.

– მაშინ სხვა ღირებულებები იყო?

– ასე იყო. ჩვენი თაობისთვის მთავარი საქართველოს დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის დანგრევისთვის ბრძოლა იყო. ეს განსაკუთრებით 70-იანების ბოლოსა და 80-იანი წლებიდან დაიწყო. 90-იან წლებში უკვე ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა იყო პრიორიტეტი. შემდგომში რელიგიურმა მოტივებმა წამოიწია.

– დღეს რა ხდება?

– დღეს არც პატრიოტიზმია, არც რელიგია, არც სხვა ღირებულებები. ეკონომიკური მდგომარეობაც გაუარესდა და მხოლოდ მატერიალურზე როდესაც არიან გადასული ადამიანები და, მით უმეტეს, როდესაც ასაკიც ისეთია, რომ თვითდამკვიდრების მომენტია მთავარი ამ ახალგაზრდებისთვის, პატარა გადაბრუნებული სიტყვაც კი მათში ღირსების შელახვას იწვევს და აგრესია ჭარბობს, ამ ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, თორემ ერთი რომელიმე კონკრეტული მიზეზი არ იქნება.

ამას ასევე კომპლექსური დაძლევა უნდა. ყველა ერთად უნდა ჩაერთოს ამ პრობლემის მოგვარებაში: სკოლა, ოჯახი, მთლიანად ხელისუფლება, იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი მხოლოდ მითითებებს კი არ უნდა იძლეოდნენ, რომ ეს რა ცუდია, ის რა ცუდია, არამედ თავად უნდა ჩაერთონ პრობლემის მოგვარებაში. ვხედავთ, როგორ იმძლავრა ნარკოტიკმაც.

– ამ კუთხითაც სერიოზული პროპაგანდა მიმდინარეობს?

– ფაქტობრივად, პროპაგანდა მიმდინარეობს. დღეს მთავარია მატერიალური, მთავარია ხორციელი, ბოდიში ჟარგონისთვის და შენ შენი გაისწორო და სხვას ანგარიში არ გაუწიო – აი, ამ ყველაფერს მოსდევს ეს. აქ ყველას პასუხისმგებლობის საკითხია, ცალკე აღებული სკოლა ან ოჯახი ვერაფერს შეცვლის. ან თუნდაც ჩაგვრის თემა რომ ავიღოთ, დღეს რომ ბულინგს უწოდებენ. ეს ჩვენს თაობაშიც არსებობდა, მაგრამ მაშინ ამ ყველაფერს რაღაც ანეიტრალებდა, ამუხრუჭებდა, დღეს კი ამას განსაკუთრებულად მძიმე სახე აქვს მიღებული, ეს ზღვარი დაიკარგა სწორედ იმ მიზეზთა გამო, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკე.

– ხელისუფლება კანონების გამკაცრებას იწყებს თუნდაც კანონიერ ქურდებთან მიმართებით. კანონების გამკაცრება უშველის საქმეს?

– მხოლოდ კანონის გამკაცრება არ შველის საქმეს. ნარკოტიკების გასაღებისთვის ყველაზე დიდი სასჯელია უვადო პატიმრობა და მკვლელობისთვის ყველაზე დიდი სასჯელია უვადო პატიმრობა, მაგრამ ერთიც ხდება და მეორეც, თანაც – საკმაოდ ხშირად.

კონკრეტულად კანონიერ ქურდებს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ხელისუფლების დაკომპლექსებიდან გამომდინარეობს. ოპოზიცია სულ უკიჟინებს, თქვენ კრიმინალურ სამყაროს ხელს უწყობთ, მათთან შეკრული ხართ, კანონიერი ქურდები თქვენი მეგობრები არიანო. არადა, რეალურად არცერთი კანონიერი ქურდი არ არის საქართველოში, ერთი-ორია და ისიც – ციხეში. როდესაც გამოდიან, პირდაპირ მიჰყავთ საზღვარზე და უშვებენ ქვეყნიდან. აზრს, რომ აქ კანონიერი ქურდები რაღაცნაირად მომძლავრდნენ, არ ვეთანხმები.

სააკაშვილის დროს სახლშიც რომ გეთქვა, მე ვარ ქურდიო, ან სხვას ეთქვა, რომ ქურდია, იქ მტკიცებულება აღარ იყო საჭირო. ეს უკვე განაჩენის გამოტანის საფუძველი ხდებოდა. ასე არ შეიძლება, ქმედებაა დანაშაული და არა – თავის თავისთვის სახელის დარქმევა. თუ ადამიანს ვერ დაუმტკიცე, რომ ე.წ. ობშიაკი შეაგროვა ან ქურდულად გაარჩია, ვიღაცას რაღაცა გამოსძალა და ასე შემდეგ, მხოლოდ ის, რომ რაღაც ჰაერზე თქვა, არასწორია და ეს სტანდარტი დღეს შეცვლილია. ამიტომაც არის, რომ კანონიერი ქურდების გამამართლებელი განაჩენები გახშირდა.

– რატომ გახშირდა?

– იმიტომ, რომ ვერ უმტკიცებენ დანაშაულს. ეს ადამიანები 10-15 წელია, საქართველოში არ ყოფილან და როგორ გინდა დაუმტკიცო, უცხოეთში რა საქმიანობას ეწეოდა. აქ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი. თუ ამკვიდრებ სტანდარტს, რომ ქმედებისთვის უნდა გაასამართლო, ქმედება არ აქვთ ჩადენილი. დღეს რაღაცას ეძებენ ისეთს, კი ბატონო, შეიძლება, რაღაცა დაკონკრეტდეს, მაგრამ ის, რომ თუ ამ ადამიანს ხელი ჩამოართვი, დაელაპარაკე, ან გთხოვა, რომ საქართველოში მოდის, ან ახლობელს აგზავნის და შენ სასტუმრო დაუჯავშნე და იმის გამო, რომ შენ მასთან კონტაქტი გქონდა, უნდა დაისაჯო, სისულელეა და ეს არ იმუშავებს!

– ქურდისთვის მიმართვა იქნება დასჯადიო.

– თუ ვიღაც მიმართავს კანონიერ ქურდს, ქურდულად გამირჩიე საქმეო, კი ბატონო, ეს კიდევ შესაძლებელია და გასაგებია, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო, რომ რაღაც აბსურდში არ გადავიდეს ეს ყველაფერი, როგორც მიშას დროს იყო. ვიღაც იტყოდა ან დაწერდა და ეს სრულიად საკმარისი იყო. გააჩნია, ეს ყველაფერი როგორი სახით დაკანონდება, უბრალო კონტაქტისთვის სასჯელი აბსურდისკენ მიდის. მთავარია, კომპლექსებს არ აჰყვეს ჩვენი ხელისუფლება და სხვისთვის საჩვენებლად არ გააკეთოს ეს ყველაფერი.

– ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავიდეს?

– დიახ, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავიდეს. ხელისუფლება უნდა იყოს მყარად თავის პოზიციაზე და დარწმუნებული იყოს საკუთარ ქმედებებში. ოპოზიცია რას უკიჟინებს, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ყოველ მის შეტევაზე აქეთ-იქით არ უნდა ირხეოდეს, თავისი სწორი ხაზი უნდა ჰქონდეს და იმ ხაზს მიჰყვებოდეს, ყოველ შეძახილზე ასე მტკივნეულად არ უნდა რეაგირებდეს.

„იგივე სისტემა იმავე მურუსიძით, მითხარით, რა გამოდის?!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნებას“ ჯერ კიდევ აქვს პროცესის შემობრუნების დრო“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, კონსტიტუციონალისტი ვახტან ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ბოლო პერიოდში ე.წ. გირგვლიანის შესწორებების პაკეტის პარალელურად, პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის დაპირისპირება გააქტიურდა. რას შეიძლება ეს უკავშირდებოდეს, მართლაც წინასაარჩევნო კამპანიას თუ რეალურად ქმედითი ნაბიჯების გადადგმის სურვილს?

– პრეზიდენტი 2012 წელს მიღებული ამნისტიის შესახებ კანონის მოთხოვნის შესრულებას ითხოვს. ეს აქამდეც უნდა შესრულებულიყო. მთელი ექვსი წელია, რაც სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, მაგრამ აქამდე ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯი ვერ გადავდგით. გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს, სადაც სისტემურ დანაშაულზეა საუბარი. ამ სისტემური დანაშაულის გამოძიება, ფაქტობრივად, არ მომხდარა. თუ ხდება, გარკვეული დოზებით. სააკაშვილის მიერ ნაყიდი პალტოები და პიჯაკები არ არის სისტემური დანაშაული.

მე არ ვამბობ, რომ სისტემის გასამართლება უნდა მოხდეს, მაგრამ სისტემა უნდა გამოსწორდეს. ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ გახმაურებულ დანაშაულში, თანამდებობიდან უნდა დაითხოვონ. საქმე შურისძიებაში კი არ არის, საუბარია იმაზე, რომ ეს ადამიანები, მოთხოვნის შემთხვევაში, იმავეს გააკეთებენ. აქ საუბარია პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუსჯელობის სინდრომი ძალიან მაღალი იქნება.

საუბარია მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებსაც სისტემურ დანაშაულში წვლილი მიუძღვით და რომლებიც ამაში მონაწილეობდნენ, თორემ, მეორე უკიდურესობა იქნება, ვინც ნაციონალური მოძრაობის დროს ძალოვან უწყებაში მუშაობდა, ყველა სამსახურიდან რომ დაითხოვო.

– სწორედ ამაზეა საუბარი, რამდენად შეიქმნება პრობლემები?

– სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის, მისი რეფორმირების გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა. ყველა ის ადამიანი, რომლებიც ამ პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ, სასამართლო სისტემას უნდა ჩამოშორდნენ. თუ ეს არ მოხდება, მაშინ საზოგადოებაში მუდმივად იქნება განცდა, რომ სასამართლოში სამართალს ვერ იპოვის.

– უვადოდ რომ არიან მოსამართლეები დანიშნულნი, მაგალითად, ლევან მურუსიძე?

– ეს სასამართლო სისტემის რეფორმის ნაწილი უნდა გახდეს და ეს საკითხი შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. ეს უნდა იყოს გააზრებული და გულწრფელი ნაბიჯი.

რაც შეეხება კონკრეტულად მურუსიძეს – რა უნდა ექნა, გირგვლიანის საქმეზე სხვა გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდაო, ვინც ასე ფიქრობს, მათ შევახსენებ, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, დაკავებული პოზიციიდან გადადგეს. აქ ყველა თავისუფალია! ან

შეეძლო, აცილება მიეცა. როდესაც ადამიანი დგას ალტერნატივის წინაშე: შეინარჩუნოს სკამი თუ დაიცვას ღირსება, ამ შემთხვევაში პროფესიული ღირსება და არჩევანს მაინც სკამის სასარგებლოდ აკეთებს, ე.ი. იმ თანამდებობის ღირსი არ არის, მით უფრო, როდესაც მოსამართლეა!

– დღეს თითქოს მურუსიძე სისტემის მსხვერპლია.

– დიახ, ივანიშვილმა თქვა, რომ მურუსიძე სისტემის მსხვერპლია. ამაში დავეთანხმებოდი ივანიშვილს და არც იმაზე მექნებოდა დიდი პრეტენზია, რომ მურუსიძე დღეს ისევ ამ სისტემის ნაწილია, მაგრამ სისტემაც რომ იგივე დარჩა?! აქ არის მთელი პრობლემა. ეს არის სრულიად მიუღებელი და ამას არ შეიძლება შევეგუოთ. იგივე სისტემა იმავე მურუსიძით, მითხარით, რა გამოდის?!

– შეიძლება სამართლიანობის აღდგენა ერთგვარი მიჯნა გახდეს, ან ხელისუფლება გადადგამს ქმედით ნაბიჯებს, ან ის ძალიან ძვირ პოლიტიკურ ფასს გადაიხდის, ანუ არჩევნებს წააგებს?

– ჯერ ეს მიჯნა თითქოს არ დამდგარა. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას აქვს ერთი ნიშანი: ის თითქოს იგნორირებას უკეთებს, საკმაო ხანს აცლის, მაგრამ შემდეგ, თუ ყელში ამოუვა, მერე ძალიან მკვეთრ მოძრაობებს აკეთებს. მერე ამას ხან „ვარდების რევოლუციას“ ვარქმევთ და ხანაც – არჩევნებს.

ჯერ საკითხი ასე მწვავედ არ დგას, მაგრამ, თუ პროცესი აქეთკენ წავიდა, მაშინ აუცილებლად აქამდე მივა. ამ პროცესს ალტერნატივა არ აქვს. ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს დრო, პროცესი შეაჩეროს და შემდეგ შემოაბრუნოს, მაგრამ ამისთვის სერიოზული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, სისტემის შეცვლაა საჭირო.

ეს კონსტიტუციის ცვლილებით უნდა მომხდარიყო, რაც არ მოხდა, ამიტომ თავიდან არის ყველაფერი დასაწყები, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ამისთვის რამდენად ეყოფა რესურსი და დრო, ეს არის საკითხავი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლება ცდილობს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას შევეგუოთ“

გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილი „ოცნებაში“ სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს“

შორენა მარსაგიშვილი

ცოტა ხნის წინ ამერიკული ორგანიზაციის „HERITAGE FOUNDATION"–ის ვებგვერდმა გამოაქვეყნა ნარკვევი, რომლის ავტორიც წერს:

„ნატოს ზოგიერთი წევრი შიშობს, რომ საქართველოს ალიანსში მიღება მოსკოვის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების გამო რუსეთთან ავტომატურ ომს გამოიწვევს. საქართველოს ოფიციალური პირები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ მოხარული იქნებიან, დათანხმდნენ ნატოს წევრობას კომპრომისის საფუძველზე“.

ამბობს თუ არა საქართველო უარს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, გაძლიერდა თუ არა რუსული პროპაგანდა, რატომ უნდა მოეთხოვათ ქვეყნიდან ლორა თორნტონის გაძევება, რაზე უნდა ამოეღო ხმა საპატრიარქოს, რას არის დახარბებული ხელისუფლება და რას უპირებს ივანიშვილი „ოცნებას“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა გვაჩვევს იმ აზრს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველო აღარ არის. მათი მმართველობის დროს იქნა მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი და მათ დროსვე მიაყენეს ქართულ ეკლესიას სერიოზული დარტყმა ციანიდის საქმის სახით. ახლა საქართველოში ახალი სპეცოპერაცია მიმდინარეობს, რომელსაც სახელად საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ჰქვია.

უკვე ღიად გვეუბნებიან, რომ თუ ჩვენს ქვეყანას, როგორც უკანასკნელ მათხოვარს, შეიყვანენ ნატოში, ეს უნდა მოხდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე. შემთხვევით არ ვთქვი, რომ ეს სპეცოპერაციაა და ჩვენ ამისთვის წლებია, რაც გვამზადებენ.

ჯერ იყო და 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ თავის საარჩევნო ბლოკში საგანგებოდ შეიკედლა ის ძალა, რომლის წარმომადგენლებიც ღიად ამბობდნენ, რომ შესაძლებელია არსებობდეს დამოუკიდებელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. მათივე თქმით, დანარჩენი საქართველო ამ რესპუბლიკებთან დაამყარებს კონტაქტს.

– რესპუბლიკელებზე საუბრობთ?

– მაგათზე ვსაუბრობ. ამ ძალას მხოლოდ ბლოკში შეყვანა არ აკმარეს და უმაღლესი თანამდებობები დაურიგეს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლას თუ დავთანხმდებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ოფიციალურად ვიტყვით უარს საქართველოს ძირძველ მიწებზე.

უკვე მიდის იმ აზრის ფორმირება, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მთავარი არ არის. ამ აზრის ფორმირებას ენდიაიც უწყობს ხელს.

– რანაირად უწყობს ენდიაი ამას ხელს?

– ბოლო წლებში, მათი გამოკითხვის თანახმად, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა 5 უმნიშვნელოვანესი საკითხის მიღმა რჩება. ისე წარმოაჩენენ, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის სხვა საკითხები უფრო მნიშვნელოვანია. ისინი გამოკითხვაში საგანგებოდ სვამდნენ სპეციფიკურ კითხვებს, რაზეც მათთვის სასურველ პასუხებს იღებენ.

ქუჩაში ნებისმიერი ქართველი რომ გააჩერო და ჰკითხო, რა არის ქვეყნის უმთავრესი პრობლემაო, ყველა იტყვის, ტერიტორიული მთლიანობაო. ესენი კითხვას ასე სვამენ – რა არის თქვენი მთავარი პრობლემა? ადამიანი, რომელსაც შია, სწყურია და უმუშევარია, მაღალ მატერიებზე ვერ ილაპარაკებს, გეუბნება, რომ მთავარი პრობლემა უმუშევრობა და სიღარიბეა. ამით იმას გვაჩვენებ, რომ ხალხს დაკარგული ტერიტორიები აღარ აინტერესებს.

თავდაცვის მინისტრობისას თინა ხიდაშელი ბალტიისპირეთში იყო. ლიტვის თავდაცვის მინისტრმა უთხრა, ნატოში შესვლა თუ გინდათ, უნდა შეეგუოთ, რომ ეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე მოხდებაო. ხელისუფლებამ ეს მოწოდება გაატარა. ჩვენ ამაზე დიდი ამბავი ავტეხეთ, მაგრამ „ქართული ოცნებისგან“ პასუხი არ მიგვიღია.

ამათთვის, ისევე, როგორც ნაციონალებისთვის, დედაზე, მამასა და ღმერთზე მაღლა დგას რომელიმე ამერიკელი ჩინოვნიკი ან ექსპერტი. ჰოდა, ახლა ერთ-ერთი ექსპერტი მოგვიწოდებს, რომ ნატოში იმ შემთხვევაში შევალთ, თუ უარს ვიტყვით აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე. ამით არც ალიანსს დაეძაბება რუსეთთან ურთიერთობა. როცა სჭირდებათ, კარგად იყენებენ ხოლმე რუსეთს.

8 თებერვალს ამასთან დაკავშირებით არასამთავრობოებს უტარებენ სიმპოზიუმს. დათქმა იქნება, რომ ჯერ ამ ფორმით შევალთ ნატოში და მერე, როცა დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, მათაც ვაქცევთ ალიანსის შემადგენელ ნაწილად. იმდენი თქვენ გვერდები არ აგიდგათ, რამდენიც ტერიტორიები დაიბრუნოთ. ამ შემოთავაზებაზე დათანხმება ჩვეულებრივი ღალატია.

„კახა კალაძე გუნდიდან გამოყოფას აპირებს“

მოვუწოდებ ხელფასებსა და პრემია-დანამატებზე გაგიჟებულ კულაკებს, „ქართულო ოცნებავ“, არ გაბედო ქვეყნის ღალატი. რაც არ უნდა დათქმა გააკეთო, ეს იქნება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა. იმას ნურავინ იტყვის, რომ დასავლეთი არ დაუშვებს ამ ტერიტორიების ჩვენთვის წართმევას. ჩვენ აღარ გვაინტერესებს ეს ტერიტორიები და დასავლეთს რატომ უნდა ადარდებდეს? ამის ბრწყინვალე მაგალითი რეზიდენტ ლორა თორნტონის აბსოლუტურად თავხედური განცხადებაა – რის საქართველო, აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს რუკაზეც კი ვერ იპოვისო.

ამ განცხადებით ამ ქალმა შეურაცხყო თავისი პრეზიდენტი. დედამიწაზე 200-ზე მეტი ქვეყანაა და, თუ სრულიად უვიცი არა ხარ, აუცილებლად იპოვი რუკაზე საქართველოს. იმდენად უვიცია ქალბატონი თორნტონი, ისიც კი არ იცის, რომ ტრამპი საქართველოში ნამყოფია. მეტსაც გეტყვით, მას ქართულ მიწაზე ბარიც აქვს დაკრული. ის აქ ტრამპთაუერის აშენებდა. ამ ქალმა თუ ისიც არ იცის, რომ აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოშია ნამყოფი, რატომ უნდა ვენდოთ მის მიერ ჩატარებულ კვლევას?! ენდიაი სულაც არ სწავლობს საზოგადოებრივ აზრს. ეს ორგანიზაცია მიმართულია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ, რათა შეცდომაში შეიყვანოს ხალხი.

კეთილების მომხსენიებელი პრემიერი პრემიერს რომ ჰგავდეს, პრეზიდენტი პრეზიდენტს, სპიკერი სპიკერს, უმრავლესობა საშოვარზე გამოსული სექტა რომ არ იყოს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ენდიაის სათავო ოფისს ნოტას გაუგზავნიდნენ და თორნტონს საქართველოდან გუდა-ნაბადს აუკრავდნენ.

– დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა მოითხოვა ამ ქალისგან ბოდიშის მოხდა.

– მერე, ეს საკმარისია? ეს არ იყო ოფიციალური პოზიცია. ესენი ოფიციალურად რისი მომთხოვნები არიან, ერთი ქვეყნის საელჩოს მოთხოვნის გამო დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადებაც კი ვერ გაბედეს.

– მოდით, ისევ ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შესვლის პერსპექტივას დავუბრუნდეთ. ქართველი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს რუსული პროპაგანდის გაძლიერებას გამოიწვევს. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ? ამბობენ, რომ რუსული პროპაგანდა ისედაც გაზრდილია.

– არანაირად არ არის რუსული პროპაგანდა გაზრდილი. ეს ევროპელი ჩინოვნიკების აფერაა. როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების ბიუჯეტი დგება, იქ დეტალურად არის გაწერილი, სად რა თანხა უნდა დაიხარჯოს. ეს ჩინოვნიკები თანხებს ძირითადად საკუთარ თავსა და იმ არასამთავრობოებზე ხარჯავენ, რომლებიც საქართველოს მსგავს სუსტ ქვეყნებში მეხუთე კოლონასავით ჰყავთ შესეული.

საქართველოში რუსული პროპაგანდის გაზრდაზე 2 მიზეზის გამო ატეხეს ხმაური. ერთია, რომ დაფინანსება გაიზარდონ და მეტი ფული ჩაიჯიბონ, ხოლო მეორე, რომ გადაფარონ თავიანთი უუნარობა.

– უუნარობაში რას გულისხმობთ?

– პირდაპირ გეტყვით, რომ ისინი საქართველოში საზოგადოებრივ აზრს ისე ვერ აყალიბებენ, როგორც მათ უნდათ. მათ ვერ გვაჩვენეს დასავლეთის წარმატებული მხარე. რაც მავნე და არასწორია, რატომღაც იმას ეძახიან ევროპულს. ერთსქესიანთა ქორწინება, ნარკოტიკების ლეგალიზება და ბარიგების თავისუფლად სიარული არ არის დასავლური ცივილიზაცია და ღირებულებები. ამათ ლიბერტარიანული ფუნდამენტალიზმის გასაღება უნდათ ევროპულ ღირებულებად.

სწორედ მათ აუცრუეს ხალხს ევროპაზე გული და, ეს რომ გადაფარონ, ამიტომ საუბრობენ რუსული პროპაგანდის გაზრდაზე. ვერ დამისახელებთ ვერცერთ მედიასაშუალებას, სადაც არის რუსული ფული და რუსული პროპაგანდა. შესაძლოა, სადღაც შემოდის რუსული ფული, მაგრამ ძირითადად დასავლური გრანტებია.

არასწორად არის დაგეგმილი დასავლური ცხოვრების პიარიც. ისიც ხომ საკითხავია, ვისი მეშვეობით მიმდინარეობს ევროპული ღირებულებების პროპაგანდა. ის ხალხი, რომელიც დასავლურ ორიენტაციას უწევს პროპაგანდას – ყველა მათგანი როგორც ცხოვრების წესით, ასევე წარსულით კომპრომეტირებულია. ამ ადამიანებს რომ აბარებთ დასავლეთის პროპაგანდას, კარგს რას ელოდებით.

– ევრაზიულ კავშირზე რას იტყვით? მისი მომხრეების რიცხვი სულ უფრო იზრდება.

– ევრაზიული კავშირი არ არსებობს. მხოლოდ ეკონომიკური და საბაჟო კავშირია. მეტი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. მინდა მივმართო ვითომ პროდასავლურებს, ჰაერში რატომ იქნევთ მუშტებს?!

საქართველოში რომ რუსული პროპაგანდა არ გაძლიერებულა, ეს ევროპელმა ჩინოვნიკებმაც კარგად იციან, მაგრამ მაინც სხვანაირ დასკვნებს წერენ. სათავო ოფისებს აჩვენებენ, რომ აქ ველურები ვართ და ამიტომ მათ არა 5, არამედ 25 ჯიპი სჭირდებათ. ველურებთან მუშაობის სანაცვლოდ უფრო მაღალ ხელფასებს ითხოვენ.

ვიმეორებ, ბარიგების თავისუფლად შლიგინი ევროპული ღირებულებები არ არის. ამ მოთხოვნას იხ ხალხი ლობირებს, რომლებიც მომავალში, შესაძლოა, ნარკოტიკების მონოპოლისტებად მოგვევლინონ. თუ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია მოხდა, ისინი საიდანღაც ხომ უნდა შემოვიტანოთ. ჰოდა, დღეს როგორც საწვავის მონოპოლისტები არიან, ასევე გვეყოლებიან ნარკოტიკების მონოპოლისტები.

მეგონა, რომ ამ აღვირახსნილ კამპანიაზე საპატრიარქოს ექნებოდა ძალიან მკაცრი რეაგირება. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა.

– საპატრიარქომ ხომ დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით.

– მე სულ სხვა რამეზე ველოდი მათგან რეაგირებას. ნაციონალები ხელისუფლებაში ყოფნის დროს ახალი ჯიშის ადამიანის გამოყვანას ცდილობდნენ, ყველას და ყველაფერს მისწვდნენ, ერთი უფალი ღმერთი იყო დარჩენილი და მასთანაც მივიდნენ. ერთ-ერთი ნაციონალი გამოვიდა და თქვა, იესოს ფულით სავსე ქისა ჩაუდეს და ისე დაიჭირესო.

ამათ, ფაქტობრივად, მეხუთე სახარება დაგვიწერეს. ამაზე ველოდი საპატრიარქოსგან მწვავე რეაქციას.

– თქვენ ნაციონალ კოტე იოსელიანის განცხადება გაქვთ მხედველობაში?

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება, კოტე, მიტროფანე, გრამიტონი თუ გურანდუხტი. ფაქტია, რომ ისინი, თავიანთი ლიდერის თამადობით, რომელიც ნებაყოფლობით კლოუნად იქცა, ღმერთთანაც მივიდნენ. საპატრიარქო კი ამაზე დუმს და არც კი იმჩნევს კოტეს სახარებას.

– ზემოთ ჯიპები ახსენეთ და რას ფიქრობთ პრემიერის ინიციატივაზე, რომელიც შავი ჯიპების ეპოქის დასრულებას ითხოვს? ამ ინიციატივას მთავრობის დანარჩენი წევრებიც დადებითად შეხვდნენ.

– ეს არის უსასოობის ყვირილი. თქვე გაჭირვებულებო, განა ჯიპის ფერია მთავარი? მთავარია, შიგ ვინ ზის – გვამი თუ მოღვაწე, პროფესიონალი თუ მექრთამე, ხეპრე თუ გონიერი. თუ გგონიათ, რომ მაინც ფერია მნიშვნელოვანი, თქვენ განსაკუთრებით რეიმბოუს ცისარტყელას ფერი მოგიხდებათ, ცისფერ ფერებში გაზავებული.

– თავად „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? „ოცნების“ წევრები ამბობენ, რომ იქ ნამდვილებსა და პორტირებულებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა.

– „ქართული ოცნება“ ამ სახით 2020 წლამდე ვერ მიაღწევს. იქ მართლაც არის დაპირისპირება. მოაზროვნეები არ ჰყავთ და ისეთ სულელურ განცხადებებს აკეთებენ, მეც კი მტკივა გული.

„ქართული ოცნების“ მთლად უფროსი ვინც არის, იმაზე ამბობენ, რომ პოლიტიკას ჩამოშორდა. ასე არ არის. ის აბსოლუტურად საქმის კურსშია, თუ რა ხდება მის გუნდში. ის შეწუხებულია, ამდენი მკვდარი რომ ჰყავს ზურგზე აკიდებული. ივანიშვილი სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს.

– რა ცვლილებებს გეგმავს?

– გუნდი მთლიანად გადასახალისებელია, მაგრამ, არ ვიცი, შეძლებს თუ არა ამას. მას, ფაქტობრივად, ხალხი არა ჰყავს. ცალკე თამაშს იწყებს დედაქალაქის მერის გუნდი. აშკარაა, კახა კალაძე რაღაცას აპირებს.

– მაინც რას აპირებს?

– ცდილობს, ჩამოშორდეს მმართველ ძალას. მას უკვე ჰყავს თავისი გუნდი და უნდა, ამ გუნდთან ერთად დაიწყოს მოძრაობა.

„51-ე სკოლასთან ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე „ოცნების“ დეპუტატის შვილია“

ზვიად კუპრავა: „დეპუტატის ვინაობას ამ დღეებში დავასახელებ“

შორენა მარსაგიშვილი

„51-ე სკოლის მე-11 კლასის ორ მოსწავლეს დირექტორი სკოლაში არ უშვებს“

სამართალდამცავთა ჰეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ხოლავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიაზე მოხიგ სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი თქმით, პროკურატურა პარლამენტის წევრის შვილს აფარებს ხელს.

რატომ და ვის ვინაობას მალავს საგამოძიებო უწყება, რა კავშირი აქვთ ამ ბავშვების მშობლებს დედაქალაქის მერთან, ვისი ბრძანებით არ უშვებს 51-ე სკოლის დირექტორი ბავშვებს სკოლაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ზვიად კუპრავა ესაუბრება.

ზვიად კუპრავა:

– პროკურატურას თავის დადგენილებაში, რომელიც 51-ე სკოლასთან მომხდარ სისხლიან გარჩევას ეხება, ჩამოთვლილი ჰყავს ამ ჩხუბში მონაწილე არასრულწლოვანები. საგამოძიებო უწყება მხოლოდ 13 მათგანის გვარს ასახელებს, დანარჩენებზე ამბობს: „და სხვები“.

ტერმინმა „და სხვები“ პირადად მე გამიჩინა ეჭვები, რომ პროკურატურა ვიღაცას ხელს აფარებს. საგამოძიებო უწყების მხრიდან აშკარა დისკრიმინაციას აქვს ადგილი. როგორ შეიძლება, ჩხუბში მონაწილე პირების ნაწილი დაასახელო, ხოლო ნაწილი მოიხსენიო, როგორც „და სხვები“.

იმას ვერ იტყვიან, თითქოს მათი ვინაობა იმიტომ არ დაასახელეს, რომ ისინი არასრულწლოვანები არიან. იქ ყველა არასრულწლოვანია. მაშინ დანარჩენების ვინაობას რატომ ასახელებენ?!

გამოძიება არის მათემატიკური ჭეშმარიტება. ის ზუსტი და დეტალური უნდა იყოს. გამოძიება ზოგადად არ უნდა საუბრობდეს. როდესაც ზოგადად საუბრობენ, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ან არასრულყოფილ გამოძიებასთან გვაქვს საქმე, ან რაღაც იმალება.

კანონის თანახმად, მოსამართლემ უტყუარი და არაერთი მტკიცებულების მიხედვით უნდა გამოიტანოს განაჩენი. ამ შემთხვევაში რა ქნას, „და სხვების“ მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება? ასე არ გამოვა.

როგორც კი ეს დადგენილება ვნახე, მაშინვე ვთქვი, რომ პროკურატურა ვიღაცას აფარებს ხელს. ეს ეჭვები აქვთ დაზარალებული მხარის წარმომადგენლებსაც.

დავიწყე იმის გარკვევა, თუ ვინ იყო ამ „და სხვებში“. გაირკვა, რომ ჩემი ეჭვი საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

– რა გაარკვიეთ?

– გავარკვიე, რომ 51-ე სკოლასთან მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე „ქართული ოცნების“ მოქმედი დეპუტატის არასრულწლოვანი შვილია. ეს ინფორმაცია არაერთი წყაროდან მაქვს დადასტურებული და სათუო არ არის – პროკურატურა დეპუტატის შვილს აფარებს ხელს.

სასამართლოს განაჩენამდე მე ამ ბავშვზე არ ვიტყვი, რომ დამნაშავეა, მაგრამ ვიცი, რომ ის ჩხუბში აქტიურად მონაწილეობდა.

ჩხუბში ასევე მონაწილეობდა ერთ-ერთი გავლენიანი ოჯახის შვილი. დედამისი კახა კალაძესთან არის დაახლოებული. როცა ამ არასრულწლოვანების ვინაობა გავიგე, ვნახე მათი სოციალური ქსელები. იქ ძალიან საინტერესო ფოტოები აღმოვაჩინე. ორივე არასრულწლოვანის ოჯახი კალაძესთან არის დაახლოებული. კალაძე ცნობადი სახეა და მასთან ბევრს ექნება სურათი გადაღებული, მაგრამ ეს ფოტოები ძალიან შინაურულ წრეშია გადაღებული, სადაც უცხო ვერ მოხვდება.

ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათ კახა კალაძე მფარველობს. ფაქტი ის არის, რომ პროკურატურა მათ ვინაობას არ ასახელებს. ამ ეტაპზე თავს შევიკავებ სახელებისა და გვარების დასახელებისგან, თუმცა რამდენიმე დღეში აუცილებლად გავასჯაროებ მათი მშობლების ვინაობას.

– ასეთი გავლენიანია ის დეპუტატი, რომ პროკურატურა მისი შვილის ვინაობის დასახელებასაც კი ერიდება?

– ალბათ გავლენიანია და საქმეებს აგვარებს. ის მაჟორიტარი დეპუტატია, საზოგადოება შეიძლება არ იცნობს, მაგრამ პროკურატურაში აშკარად იცნობენ. მე იმაშიც მეპარება ეჭვი, რომ პროკურატურა ამათ გამო წავიდა რისკზე. შესაძლოა, „და სხვებში“ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პერსონის შვილი ფიგურირებდეს.

ამ ჩხუბთან დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია მინდა გავაჟღერო: 51-ე სკოლის 2 მე-11 კლასელს სკოლის დირექტორი სკოლაში არ უშვებს.

– რატომ არ უშვებს, ისინიც ჩხუბში მონაწილეობდნენ?

– ეს მოზარდები პროკურატურამ მოწმის სტატუსით დაკითხა. მათ მიმართ ამ ეტაპზე გამოძიებას პრეტენზიები არა აქვს. ეს ბავშვები სკოლიდან გარიცხული არ არიან, მაგრამ სკოლაში არ უშვებენ.

არ ვიცი, ეს სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებაა თუ განათლების სამინისტროდან მიიღო მითითება. მივმართავ სახალხო დამცველს, რომ აუცილებლად დაინტერესდეს ამ საკითხით. იმედია, ამ საქმით განათლების სამინისტროც დაინტერესდება.

ნანა დევდარიანი: „ვასიკო მაღლაფერიძეზე არ ვიტყვი, მკვდარზე ვენოკია-მეთქი“

რა გაუხსენა ყოფილმა სახალხო დამცველმა საზმაუს ხელმძღვანელს

ნონა ცაბაძე

საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი დღემდე არ ცხრება. ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და პრეზიდენტიც – ყველა მის წინააღმდეგ იღაშქრებს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ექვსპუნქტიანი გეგმა შეიმუშავეს და საზოგადოებრივ მაუწყებელში დაუყოვნებლივ აუდიტის სამსახურის შესვლას ითხოვენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილ თანამშრომელ ნანა დევდარიანს ესაუბრა.

– ქალბატონო ნანა, რას იტყვით საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე?

– საზოგადოებრივ მაუწყებელს ძალიან ცუდი ამბები დაებედა. უკვე ბოლო 20 წელზე მეტია, მუდმივად არის თავდასხმები. აუდიტის ის დასკვნები, რომელთა გამოქვეყნებასაც ითხოვდნენ ჟურნალისტები წლების განმავლობაში, საბოლოოდ მაინც არ გასაჯაროვდა. აუდიტზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდეს ყურებადი, როგორიც იყო ადრე.

– არც ახალმა მენეჯმენტმა და ამდენმა ცვლილებამ არ გაამართლა?

– აქაც ხომ იგივე სიტუაციაა, რაც ყველა სხვა სამთავრობო დაწესებულებაში. სააკაშვილის დროინდელი კადრების გავლენა დღესაც საკმაოდ ძლიერია! ეს ჩარჩენილი ხალხი არ არის დაინტერესებული, რომ სიტუაცია გამოსწორდეს. მე არ ვლაპარაკობ ჟურნალისტებზე, მენეჯმენტს ვგულისხმობ.

– პირველი პირების ცვლამ მაუწყებელში ვერ შეცვალა ვერაფერი?

– საზოგადოებრივი მაუწყებელი ის დაწესებულებაა, რომლის მუშაობის შედეგი უნდა ჩანდეს ეკრანზე. შეიძლება სხვა დაწესებულებაში შიგნით სიტუაცია დაალაგო და მოაწესრიგო, მაგრამ, აქ თუ პროდუქტი არ გამოჩნდა ეკრანზე ყველასთვის თვალსაჩინოდ, ყველაფერი წყალში იქნება ჩაყრილი.

– რატომ ვერ მოხერხდა, რომ ეს არხი გახდეს ყურებადი?

– მთლიანად სტრატეგიულ დაგეგმარებაშია დაშვებული შეცდომა, თუ საერთოდ არსებობს სტრატეგიული დაგეგმარება. კიდევ ერთი მომენტიც არის: განა არ არის ნორმალური და კარგი გადაცემები, მაგრამ ასეთი ტენდენცია დამკვიდრდა, ცუდია და ცუდია და არავინ კარგს არ იტყვის არასოდეს.

ბევრს კი აყვედრიან საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ დიდი დაფინანსება აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აბა, გადახედეთ სხვა ტელეკომპანიებს, მათ რა პროდუქტი აქვთ?! საინფორმაციო გამოშვებები და ორი-სამი უცხოური გადმოქართულებული პროექტი, დანარჩენი – სერიალები, ანუ საკუთარი პროდუქტი ამ კერძო ტელეკომპანიებს პრაქტიკულად არ აქვთ.

სულ ლაპარაკია – რუსული რბილი ძალა, რუსული პროპაგანდა და რუსული გავლენა. ეს გაუთავებელი თურქული სერიალები, სადაც იდეალიზებულია იმდროინდელი საქართველოს დამპყრობლების იმპერია, ეს არ არის რბილი ძალა და პროპაგანდა?! სააკაშვილის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ცდილობენ, შეცვალონ, თუ არ შეცვალეს უკვე ისტორიული მეხსიერება ჩვენს მოსახლეობაში. უიმე, რა კარგი და რა კეთილშობილი ყოფილა ოსმალეთის იმპერია, რაც, ფაქტებიდან გამომდინარე, არასოდეს არ ყოფილა.

თურქეთის მხრიდან ეს მიზანმიმართული პროცესია, მაგრამ ჩვენ სად ვიყურებით?! ან თუნდაც ამხელა დაფინანსების პირობებში საზოგადოებრივ მაუწყებელზე არ უნდა იყოს ქართული სერიალები?! სერიოზულ დადგმით მხატვრულ სერიალებზე მაქვს საუბარი. არიან ამის პროფესიონალები და ამის გაკეთება პრობლემას არ წარმოადგენს.

– ყველა არხზე მსგავსი სიტუაციაა?

– არა, ასე არ არის. ზოგი პარტიულ ინტერესს ემსახურება, ზოგიც – კერძო კომერციულს. ყოველ შემთხვევაში, საქართველო არ არის ისეთი დიდი სარეკლამო ბაზრის მქონე ქვეყანა, რომ ამდენმა ტელევიზიამ ამ შემოსავლებით თავი შეინახოს.

– სარეკლამო კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონპროექტს ვეტო დაადო. ასევე ამხედრდნენ კერძო ტელევიზიები და არასამთავრობოებიც. ამაზე რას იტყვით?

– რეკლამითაც და რეკლამის გარეშეც საზოგადოებრივი მაუწყებლისგან შეიძლება გაკეთდეს ძალიან ყურებადი ტელევიზია. მე არ მგონია, რომ სარეკლამო შემოსავლები იყოს მათი მთავარი პრობლემა. მე მიმუშავია ტელევიზიაში, რომელშიც არცერთი რეკლამა არ გადიოდა. მე დავიწყე პირველმა რეკლამების კეთება ტელევიზიის პირველ არხზე და მერე კერძო ტელეკომპანიებში – მერმისში და დრონში. ეს არ არის პრინციპული საკითხი. პრინციპული საკითხია, რაში ხარჯავ შენს რესურსს, როგორც მატერიალურსა და ტექნიკურს, ისე – ადამიანურს.

– დადგება ვასილ მაღლაფერიძის გადადგომის საკითხი?

– იმდენი წელია ვიცნობ ვასიკო მაღლაფერიძეს, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ნათქვამი აქვს, როცა მამტკიცებდნენ სახალხო დამცველად, სახალხო დამცველი მკვდარზე ვენოკი იქნებაო, მე ვასიკოს ვერ ვიმეტებ იმისთვის, რომ ვთქვა, რომ საზმაუში ვასიკო მკვდარზე ვენოკია-მეთქი. მე მინდა, რომ გამოუვიდეს ეს საქმე. წლები ვიმუშავე ამ არხზე, მასზე გული შემტკივა და მინდა, რომ იყოს წარმატებული ტელევიზია. ამ ჯიკაობას, საპროტესტო გამოსვლებსა და აუდიტის მოთხოვნას აჯობებს, ყველა იმით დაეხმაროს ახალ მენეჯმენტს, რითაც შეუძლია. გადაყენება და შეცვლა ყველაზე მარტივი გამოსავალია. რთულია, გააკეთო საქმე.

კიევიდან თბილისში მომავალ თვითმფრინავს სამუხრუჭო სისტემა გაეთიშა და თბილისის აეროპორტში ავარიულად დაეშვა

გუშინ, 4 თებერვალს, კიევიდან თბილისში მომავალი „უკრაინის ავიახაზების“ თვითმფრინავი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში ავარიულად დაეშვა მას შემდეგ, რაც ავიალაინერმა, სამუხრუჭო სისტემის გაუმართაობის გამო, თბილისის გარშემო არაერთი არაგეგმური ფრენა განახორციელა.

აეროპორტის შიდა ტერიტორიაზე სახანძრო და სამაშველო სამსახურისა და პოლიციის ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებული.

ავარიულად დაშვების მიუხედავად, ეკიპაჟისა და ყველა მგზავრის მდგომარეობა სტაბილურია და არც თვითმფრინავი დაზიანებულა.

დაშვებისას სამუხრუჭო ფრთები არ გაშლილა.

აეროპორტში დაშვებამდე მფრინავმა და რეისის ეკიპაჟმა მგზავრებს საინფორმაციო ინსტრუქტაჟი ჩაუტარა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ავარიულად დაშვების დროს.

მაჩალიკაშვილების ოჯახი: „პანკისი საქართველოს ნაწილია და ჩვენ სხვა სამშობლო არ გვაქვს“

– მედიაში გაკეთებული ჩვენი ემოციური განცხადება პანკისის დაკარგვის თაობაზე არ შეიცავდა სხვა აზრს, გარდა იმისა, რომ ხელისუფლების მიმართ ხეობის ნდობის პრობლემაზე გაგვესვა ხაზი.

ასე ეხმაურება პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახი ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში მალხაზ მაჩალიკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, თუ „დამნაშავე პირები არ დაისჯებიან, ხელისუფლება პანკისს დაკარგავს“.

თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„გვინდა გამოვეხმაუროთ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში ჩვენ მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელსაც სრულიად არასწორი განმარტებები მიეცა სხვადასხვა ადამიანისა და ჯგუფის მიერ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გულიკო ბალაძე

„სახელმწიფომ ტენდერების პოლიტიკა უნდა შეცვალოს“

უფლებადამცველი და სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს ყოფილი წევრი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მთავრობამ კანონმდებლობა და სახელმწიფო შესყიდვებზე სატენდერო პირობები უნდა შეცვალოს. ტენდერის მოსაგებად ხარისხი უნდა იყოს მთავარი და არა – დაბალი ფასი, რომლითაც სამუშაოების ხარისხიანად ჩატარება შეუძლებელია.

– ბატონო მამუკა, ტენდერებთან დაკავშირებით აჟიოტაჟი არ წყდება. ყველა ჩატარებულ ტენდერსა და სამუშაოში პრობლემა ჩნდება. თქვენ რომელ ტენდერში გეპარებათ ეჭვი?

– საკითხი ორი მიმართულებით გავშალოთ. პირველი – როგორ ხდება და როგორ უნდა ხდებოდეს სინამდვილეში სახელმწიფო შესყიდვები. გარკვეული სტრუქტურული ცვლილებებია აუცილებლად განსახორციელებელი; მეორე – მინდა ვისაუბრო შპს „ნილთან“ დაკავშირებით, მართლა პატიოსანი კომპანიები როგორ ისვრებიან უპატიოსნო ტენდერებისა და იმის გამო, რაც ხდება ამ სივრცეში. მინდა შეეხო კვების ტენდერს ბაღებთან დაკავშირებით.

– შპს „ნილი“ არასწორად გაისვარა?

– დიახ, გაისვარა. როგორც დავების საბჭოს ყოფილმა წევრმა, უნდა განვაცხადო შემდეგი: დღეს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებში რთული მდგომარეობაა, მაგრამ ამ კუთხით სახელმწიფო ჯერჯერობით არაფრის გამოსწორებას არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს სახელმწიფო ტენდერებში წესრიგის დამყარების მცდელობა არის, ჯერ კიდევ მოქმედებს კორუფციული სქემები. თუმცა, არიან პატიოსანი კომპანიებიც, რომლებიც ტენდერებს პატიოსნად იგებენ. ერთ-ერთი ასეთი კომპანია არის შპს „ნილი“, რომელიც პატიოსნად, სამართლიანად იგებს ტენდერს. სამაგიეროდ, არსებობენ სხვა კომპანიები, „ყვარელრემმშენი“ ან ვიღაც, რომელიც ცდილობს, რაღაც გზები მოძებნოს ტენდერის მოსაგებად.

– რა გზებს ეძებს?

– ტენდერების მოსაგებად შავ გზებს, შავ ხვრელებს ეძებენ. ამიტომ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს პოლიტიკა, ტენდერების მოსაგებად მხოლოდ დაბალი ფასი არ უნდა იყოს საკმარისი. ჩვენთან არსებობს დეპ და დაპ ტენდერები. ეს არის ტენდერების ფორმები.

– ეს რას ნიშნავს?

– დაპ ტენდერი არის ტენდერის ფორმა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს მხოლოდ ხარისხს და არა – ფასს. ფასი არის ფიქსირებული, პლუს-მინუს 20%. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, ზედმეტიც კი გადაიხადოს, ოღონდ მიიღოს ხარისხი. სახელმწიფო უნდა გადავიდეს დაპტენდერებზე. ახლა არსებობს სპა და ნატტენდერები. ნატი და სპა ტენდერები არის ახლა, მიდის ვაჭრობა. იმისთვის, რომ ტენდერი მოიგოს, კომპანია ეუბნება, რომ საჭიროზე დაბალ ფასად შეძლებს სამუშაოების შესრულებას.

„ყვარელრემმშენმა“ თბილისის მერიის ტენდერი „ვარკეთილის“ მეტროს გასაკეთებლად ძალიან დაბალ ფასად მოიგო. სახელმწიფოს გაუხარდა, რა კარგია, ბიუჯეტში თანხა დარჩებაო. ჯობდა, „ყვარელრემმშენისთვის“ გადაგვეხადა ის თანხა, რომელიც სინამდვილეში დაჯდებოდა მეტრო „ვარკეთილის“ რეაბილიტაცია. თუ საჭირო იყო, ვთქვათ, 100 ათასი ლარი, დახარჯა 80 ათასი ლარი. რაღაც შეღავათი ხომ უნდა გაეკეთებინა თავისთვის, რეალურად, ტენდერი 80 ათას ლარად რომ მოიგო. 20 ათასის სანაცვლოდ მოაკლო ცოტა ქვიშა, ცოტა რკინა.

– ფიქრობთ, რომ „ვარკეთილის“ მეტროს სამუშაოების შესრულებისას საშენი მასალების რაოდენობაში, ხარისხსა და სამუშაოების შესრულებაში იყო პრობლემები?

– რა თქმა უნდა. „სვარშჩიკი“ ორი რომ სჭირდებოდა, ერთი მიიყვანა. „სვარკის“ დიოდი სხვა რომ სჭირდებოდა, სხვა მიიტანა, მსხვილი მილი რომ სჭირდებოდა, წვრილი მიიტანა იმიტომ, რომ 80 ათასში ჩატეულიყო. ექსპერტსაც 100 ლარი გადაუხადა და დაუწერა დასკვნა, რომ სამუშაოების მწარმოებელი კომპანია 80 ათასად შეძლებდა შეკვეთილი სამუშაოების ჩატარებას. სინამდვილეში 150 ათასი ჯდებოდა.

– ის ექსპერტი ვინ არის, მერიის წარმომადგენელია?

– კერძო ექსპერტები არიან. არიან ლიცენზირებული საექსპერტო ბიუროები. ფულს გადაიხდი და დაგიწერენ დასკვნას.

– ექსპერტს პასუხისმგებლობა არ ეკისრება?

– რატომ ეკისრება პასუხისმგებლობა, ექსპერტი ხარისხზე კი არ არის პასუხისმგებელი, აფასებს, ხარჯი, ვთქვათ, 80.000 ლარი მოცემულ სამუშაოებს ეყოფა თუ არა. ჩვენ ვნახეთ, რომ ეყო.

– ეყო, მაგრამ თავზე დაგვეცა.

– ექსპერტი წერს იმას, მიებმება ის ბოლო ნათურა თუ არა. ბოლო ნათურას მიაბამენ, მაგრამ, ხარისხიანი იქნება თუ არა, მე ნუ მკითხავო. სახელმწიფო ხარისხს არ ითხოვს.

– ანუ სახელმწიფო არ სვამს კითხვას, ჩატარებული სამუშაოები ხარისხიანი იქნება თუ არა?

– დიახ, მიღება-ჩაბარების აქტზე ისე აწერენ ხელს, არ ეკითხებიან, ხარისხიანი იყო თუ არა. მერიის სამსახურმა მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი მოუწერა, ობიექტი მიიღო და ექსპლუატაციაში გაუშვა.

– ნარმანიას დროინდელმა?

– დიახ. ე.ი. თქვა, კარგიაო. არ უნდა ეთქვა, კარგიაო. უნდა მიეყვანათ ექსპერტი და ექსპერტიზა ჩაეტარებინათ, სამუშაოები ხარისხიანად იყო თუ არა ნაწარმოები. ექსპერიმენტის დროს დაინგრეოდა და ადამიანები არ დაშავდებოდნენ.

– ე.ი. სახელმწიფოს სამუშაოების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნა არ აქვს.

– დიახ. ამიტომ იძულებული არიან, როგორმე სატენდერო თანხებში ჩაეტიონ.

– შეიძლება სახელმწიფო სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებას ითხოვს, მაგრამ ტენდერში გამარჯვებული კომპანია არ ასრულებს.

– მაგნაირები რომ არსებობენ, მათთან მიღება-ჩაბარების აქტი არ არის გაფორმებული. ობიექტი ჰაერშია. არ ჩაიბარეს ბაღი ან სკოლა და ბავშვები ვერ სწავლობენ. რაიონებში არის აშენებული სკოლები, რომლებსაც არ იბარებენ, რადგან სამუშაოები დამთავრებული არ არის. ობიექტს ექსპლუატაციაში რომ მიიღებ, პასუხისმგებელი შენ ხარ. „ვარკეთილის“ მეტროს შემთხვევაში მერიაა პასუხისმგებელი, „ყვარელრემმშენი“ არაფერ შუაშია. დოკუმენტზე ხელი მოუწერეს და ობიექტი ჩაიბარეს. ამას უკვე დასრულებული ხელშეკრულება ჰქვია. მათი ურთიერთობა ამ კონკრეტულ ობიექტზე დამთავრდა. დაბალი ფასი დაბალი ხარისხია. ამაზე მთავრობა არ ფიქრობს.

– ამით ხომ არ ცდილობთ, „ყვარელრემმშენი“ ცოტა გაამართლოთ? პასუხისმგებლობა მას არ ეკისრება?

– არა. ახლა მე „ყვარელრემმშენის“ კი არა, ყველა მიმწოდებელი ორგანიზაციის გამართლებას ვცდილობ.

– რატომ?

– სატენდერო პირობებია შესაცვლელი. დღეს არსებობს ის პირობები, სადაც სახელმწიფო ფასს აქცევს უფრო მეტ ყურადღებას, ვიდრე ხარისხს. ბაზარში რომ წახვალ, თუ ფული ცოტა გაქვს, იყიდი რძის ფხვნილისაგან გაკეთებულ ყველს, მაგრამ, როცა საკმარისი ფული გაქვს, მაშინ სულგუნს ყიდულობ. სახელმწიფო მეუბნება, მე მაგარი ტიპი ვარ, მაგრამ სულგუნს კი არა, ფხვნილისაგან დამზადებულ ყველს გთავაზობო. ამიტომ სახელმწიფომ კარგი პირობები უნდა შესთავაზოს მშენებელ ორგანიზაციებს და ისე ვაშენოთ გზები, ხიდები და ესტაკადები.

– იმედია, გზებს, ხიდებსა და ესტაკადებს არ აკეთებენ რძის ფხვნილის ყველივით, მაგრამ, როგორც ვიცი, გზები და ხიდები ადგილობრივი ბიუჯეტით არ ფინანსდება.

– თუ შენ გინდა, ისე ჩაატარო ტენდერი, რომ ერთი კილომეტრისთვის საჭირო რესურსით 5-კილომეტრიანი გზა დააგო, ხარისხიანი არ იქნება. სჯობს, 800 მეტრი გზა დააგო და ხარისხიანი იყოს.

– თქვენ დანაშაულებრივ სქემებზე საუბრობდით. სად არის აქ დანაშაულებრივი სქემა?

– სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულზე მაქვს საუბარი. სახელმწიფომ უნდა გამოაცხადოს არა სპა და ნატ ტენდერები, არამედ დეპ და დაპ ტენდერები, სადაც მნიშვნელოვანია არა ფასი, არამედ ხარისხი. ეს რომ არ კეთდება, დანაშაულია.

– ადრე თქვენ საუბრობდით იმგვარად ჩატარებულ ტენდერებზე, როდესაც სასურველი კომპანიის გასამარჯვებლად მათთვის წინასწარ სატენდერო პირობების გამჟღავნება ხდებოდა.

– ასეთი რამ ნარმანიას დროს იყო.

– ერთ-ერთი ასეთი კომპანია „ყვარელრემმშენი“ ხომ არ არის?

– არა. „ყვარელრემმშენი“ არ არის ასეთი კომპანია, იმიტომ რომ მან ტენდერი შეთავაზებულიდან დაბალ ფასში მოიგო.

– საინტერესოა, „ყვარელრემმშენთან“ ერთად რომელი კომპანიები ცდილობდნენ ამ ტენდერის მოგებას, რომელზეც გათვალისწინებული იყო 300 ათასზე მეტი და რატომ ვერ მოიგეს?

– მათ ვერ მოიგეს, რადგან სამუშაოების შესასრულებლად დაბალი ფასი არ შესთავაზეს. სხვას რომ მოეგო, სამუშაოები ხარისხიანად ხომ ჩატარდებოდა. თუნდაც „ყვარელრემმშენს“ რომ მოეგო ტენდერი და სამუშაოების შესასრულებლად პირობითად 80 ათასის ნაცვლად 100 ათასი ყოფილიყო გათვალისწინებული, სამუშაოები ხარისხიანად ჩატარდებოდა. სხვა კომპანიებმა თქვეს, დაბალ ფასად ვერ გავაკეთებთ, რძის ფხვნილით ნამდვილ ყველს ვერ დაგიმზადებთო. მეორემ თქვა, ვინ რას გაიგებს, ყველი ფხვნილით იქნება დამზადებული თუ ნამდვილი რძისგანო. ვინ რას გაიგებსო და რამდენიმე თვეში ჩამოინგრა. ამიტომ სახელმწიფო უნდა გადავიდეს დაპ და დეპ ტენდერებზე და შემსყიდველ ორგანიზაციებს ცალსახად მოსთხოვოს არა ფინანსურ-ეკონომიკური შეღავათი, არამედ ხარისხი. თუ სახელმწიფოს მხრიდან ხარისხი იქნება მოთხოვნილი, სამუშაოებიც ხარისხიანად ჩატარდება.

მაჩალიკაშვილების ოჯახი: „პანკისი საქართველოს ნაწილია და ჩვენ სხვა სამშობლო არ გვაქვს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დასაწყისშივე გვინდა განვმარტოთ, რომ ჩვენი ოჯახის ემოციური მდგომარეობა ახლა უაღრესად მძიმეა. ჩვენმა ოჯახმა ყველაზე მძიმე ფორმებით განიცადა უსამართლობა და ამ სტრესისა და ტკივილის გადატანას უზენაესი ალაჰისა და ჩვენი ქისტი და ქართველი მეგობრების მხარდაჭერით, ასევე სამართლიანობის იმედით თუ ვახერხებთ.

ჩვენი 19 წლის შვილი ჩვენივე სახლში ღამით ყველაზე სასტიკი და აგრესიული ფორმით ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოგვიკლეს. სპეცრაზმელები ჩვენს ოჯახს, როგორც დამნაშავეებსა და არაადამიანებს, ისე მოგვექცნენ. იარაღების დამიზნებით იატაკზე დაგვყარეს და გადაადგილების შესაძლებლობას არ გვაძლევდნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში ოთახში ვყავდით გამოკეტილები და იარაღებით კბილებამდე შეიარაღებული პირები გადაადგილების შესაძლებლობას და ჩვენი შვილის დაჭრის შესახებ ინფორმაციის გაგების შესაძლებლობასაც კი არ გვაძლევდა. ერთი საათის განმავლობაში თემირლანი საკუთარ ოთახში სისხლისგან იცლებოდა და ჩვენ ჩვენი შვილის დახმარების საშუალებაც კი არ მოგვცეს. ჩვენი სასოწარკვეთა და ტრაგედია იმდენად ღრმა არის, რომ ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია და ამას ჩვენი ქისტური სიმამაცის ეთიკაც არ გვაძლევს.

პირველივე დღეებში ხელისუფლებამ დაიწყო თემირლანისგან დამნაშავის ხატის შექმნა და საკუთარ განცხადებებში სუსმა ის ყოველგვარი ვარაუდის გარეშე დამნაშავედ გამოაცხადა. საკუთარი შეცდომების და უსამართლობის აღიარების ნაცვლად, ხელისუფლება თემირლანის დისკრედიტირებას ცდილობდა, რაც, ცხადია, მისი მხრიდან დაშვებული უსამართლობის გადაფარვისა და ჩვენი ოჯახის მიმართ საზოგადოებრივი სოლიდარობის დასუსტების მცდელობა იყო.

ცხადია, თემირლანის, უდანაშაულო ახალგაზრდის საკუთარ სახლში ამ ფორმით სიცოცხლის ხელყოფის საქმე აღელვებს არა მხოლოდ ჩვენს ოჯახს, არამედ მთელ ხეობას. ეს იმიტომ, რომ წლების განმავლობაში პანკისის ხეობას ყველა ხელისუფლება საფრთხის შემცველ ტერიტორიად სახავდა და ადგილობრივ ხალხს მუდმივად იმის მტკიცება გვჭირდება, რომ ტერორისტები და რადიკალები არ ვართ. სირცხვილისა და თავისმართლების ეს მდგომარეობა რეგიონში სწორედ ხელისუფლებების არასწორმა პოლიტიკამ შექმნა.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ ჩვენი ხალხის ღრმა კავშირი და მიჯაჭვულობა საქართველოსთვის გამოიყენოს ჩვენი რეგიონის განვითარებისთვის, ხეობაში ძირითადი მოქმედი სახელმწიფო უწყება სუსია, რომელიც სწორედ დასჯისა და კონტროლის საშუალებებით მუშაობს ჩვენზე.

ბოლოს ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაცია და მის გარშემო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სოციალური შინაარსისგან დაცლილი, გაუაზრებელი განცხადებები ჩვენს ამ განცდას კიდევ უფრო აღრმავებს და იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას ჩვენთვის მოყენებული ტკივილი და დასუსტებული ნდობა შეეცვალა, მაღალი თანამდებობის პირები არც კი ჩამოვიდნენ ხეობაში.

ჩვენ არ გვესმის, ხელისუფლების ეს უმოქმედობა უმცრებაა მხოლოდ თუ რაიმე სტრატეგია. ხელისუფლებამ ღია ჭრილობებითა და ტკივილით მიგვატოვა პანკისელები და დღეს უფლის, საკუთარი და ჩვენი მეგობრების ძალებით ვცდილობთ ამ ღრმა სტრესის გააზრებასა და გადალახვას.

ცხადია, ჩვენს ოჯახსა და ქისტებს გვაქვს გონიერება და ძალა, ხელისუფლების ეს პოლიტიკური უმეცრებაც ავიტანოთ, იმიტომ, რომ ჩვენ ამ ქვეყნის შვილები ვართ და, როგორც ყველა სხვა ჯგუფს, უმრავლესობასა თუ უმცირესობას, გვესმის, რომ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობაა და ჩვენ ყველანი სხვადასხვა ფორმით განვიცდით უსამართლო პოლიტიკის მძიმე შედეგებს. ზოგიერთი სიკვდილს ვებრძვით, ზოგიერთი – სიღარიბეს, ზოგიერთი – ღირსების შელახვასა და სასოწარკვეთას. თუმცა, ჩვენ სხვა სამშობლო არ გვაქვს და სამართლიანობას აქ და ახლა უნდა მივაღწიოთ კანონიერი და მშვიდობიანი საშუალებებითა და ერთმანეთის მხარდაჭერით. პანკისი საქართველოს ნაწილია. ჩვენ საქართველოს მოქალაქეობის განცდა გამორჩეულად მაღალი გვაქვს და ეს კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ და ხელისუფლებამაც.

ამდენად, მედიაში გაკეთებული ჩვენი ემოციური განცხადება პანკისის დაკარგვის თაობაზე არ შეიცავდა სხვა აზრს, გარდა იმისა, რომ ხელისუფლების მიმართ ხეობის ნდობის პრობლემაზე გაგვესვა ხაზი. დიახ, ნდობის აღდგენის ხაზი დღეს ამ საქმეზე სიმართლის დადგენის პროცესზე გადის და ეს მთელი ხეობისთვის ასეა.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ თემირლანის საქმეზე მისი ოჯახი ბოლომდე ვიბრძოლებთ სიმართლის დადგენისთვის. სიმართლის დადგენა ჩვენთვის ნიშნავს სპეცოპერაციის ამ ფორმით დამგეგმავი და განმახორციელებული სუსის მაღალი თანამდებობის პირებისა და სროლის განმახორციელებელი პირის სამართლებრივ დასჯასა და თემირლანის უდანაშაულობის დამტკიცებისთვის ჩვენთვის სამართლებრივი შესაძლებლობის მოცემას. ჩვენ მოვითხოვთ, სახელმწიფომ დაამტკიცოს, რომ თემირლანმა ნამდვილად იცოდა, რომ ის ბიჭები, რომლებსაც თითქმის მთელი ხეობა და ჩვენი ოჯახიც სხვა სახელებით იცნობდა და მეგობრობდა, ტერორისტები იყვნენ და სწორედ ამ მიზნით მათ თემირლანი სხვადასხვა რესურსით ეხმარებოდა.

თუ ამას თავის დროზე დამიმტკიცებდა ხელისუფლება, ჩემი ხელით მივუყვანდი ჩემს შვილს დასაპატიმრებლად. ამისთვის ომის ტექნიკის გამოყენება ხელისუფლებას ჩვენს ოჯახთან არ დასჭირდებოდა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ გაიაზროს სუსის საქმიანობის პოლიტიკური სიბრმავე და პანკისის ხეობაში მისი საქმიანობის მძიმე შედეგები და დროულად შეცვალოს ის და, რაც მთავარია, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მოსთხოვოს მის ხელმძღვანელობას.

ჩვენ მადლობას ვუხდით მედიას საქმის მიმართ ინტერესისა და მხარდაჭერის გამო, თუმცა იმისთვის, რომ საზოგადოებასთან ჩვენი კომუნიკაცია უფრო საქმიანი და ნაკლებად ემოციური იყოს, მომავალში საქმის გარშემო სიახლეებსა და ჩვენი ოჯახის პოზიციებს სპეციალურად შექმნილი ფეისბუქგვერდისა და ჩვენს ადვოკატებთან ერთად ორგანიზებული შეხვედრების გზით გაგიზიარებთ.

ქართველი საზოგადოების მიმართ ღრმა პატივისცემითა და მადლიერებით,

თემირლანის ოჯახი“, – ნათქვამია თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

საქართველოში საშუალო მარნის მოსაწყობად 50.000 ლარია საჭირო

რა თანხა დაგჭირდებათ მეღვინეობის დასაწყებად

როგორც რეალობამ გვაჩვენა, განსაკუთრებით ისეთი ღვინის კომპანიები და მცირე მარნები ვითარდებიან, სადაც საწყისი კაპიტალი არა ერთმა ადამიანმა, არამედ თანამოაზრეთა ჯგუფმა ჩადო. ეს ხერხი, გარდა იმისა, რომ ერთი კონკრეტული მოწილისათვის ხარჯებს შეამცირებს, პრაქტიკული ხერხია თუნდაც იმისათვის, რომ საქმე შუა გზაზე არ გაჩერდეს. მაგალითად,

თუკი მოხდა ისე, რომ ღვინის მარნის ხუთი დამფუძნებლიდან ერთს ან ორ ადამიანს ფინანსური პრობლემები შეექმნა, დანარჩენი სამი რთულად, მაგრამ მაინც შეძლებს საქმის გაგრძელებას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. სახსრებშემოლეულ მარტოკაც მევენახეს კი, თავისი ვენახისა და მარნის გაყიდვის გარდა, სხვა გამოსავალი აღარ დარჩება.

პარტნიორებად ასევე შეიძლება სხვადასხვა ქართული თუ უცხოური, აგრარული სექტორით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა. ეს ფინანსურად ხელის წაშველების გარდა, თქვენი ღვინის შემდგომ პოპულარობასაც ხელს შეუწყობს. ამ შემთხვევაში ყველაფერი ძალზე მარტივად არის.

მთელს მსოფლიოში ადამიანები განსაკუთრებით ისეთ პროდუქციას ყიდულობენ და ენდობიან, სადაც მწარმოებლებს შორის ცნობილი და წელგამართული ქვეყნების წარმომადგენელი ორგანიზაციებიც არიან ჩართულნი. ერთი სიტყვით, კარგი ვენახისა და შემდგომში მარნის მოსაწყობად, კარგი პარტნიორები სასურველი და ხშირ შემთხვევაში აუცილებელია.

რა ღირს ერთი ჰექტარი სავენახე მიწა?

სავენახე მიწის ფასი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში სხვადასხვაგვარია. გარდა ამისა, რასაკვირველია, მიწას ერთი ფასი არც კონკრეტულად ერთ რეგიონში, ვთქვათ, კახეთში არ ექნება.

ბუნებრივია, ერთი ფასი ვერ ექნება მიწას საგარეჯოში და ფაფრის მინდვრებზე, კონდოლში და ართანაში, კარდანახსა და კაჭრეთში... გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მიწას სახელმწიფოსგან ყიდულობ თუ კერძო პირისგან და შეძენილ მიწაზე ადრე რა ტიპის კულტურები მოჰყავდათ.

კახეთში 1 ჰექტარი მიწის ფასი 600 ლარიდან იწყება და საუკეთესო მიკროზონებში 3 ათას ლარსაც კი აღწევს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვენახთან რამდენად ახლოს მოაწყობთ მარანს, რადგან ვენახთან ახლოს მდებარე მარანი შემდგომ სამუშაოებს ბევრად აიოლებს და ხარჯებსაც ამცირებს.

სიკეთეები, რომლებიც ვენახთან ახლოს მოწყობილ მარანს გააჩნია:

1. იმის გამო, რომ დაკრეფილ ყურძენს ტრანსპორტირება არ დასჭირდება, ეს ღვინის ხარისხისთვის უაღრესად დადებითი მოვლენაა.

2. ვენახისა და მარნის სიახლოვე ამცირებს ხარჯებს.

3. იზოგება დრო. ქალაქიდან ჩასულ ადამიანს ხშირად არ გააჩნია იმდენი დრო, რომ ერთდროულად მარნის საქმეებიც მოაგვაროს და ვენახშიც ირბინოს. ამ შემთხვევაში კი მარანში მოფუსფუსეს ვენახიც „ხელის გულზე“ ექნება.

4. ესთეტიკური მომენტი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ღვინის შატოები, როგორც წესი, სწორედ ვენახებშია ჩადგმული და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ორივე ერთად, (შატო ვენახში) მართლაც ლამაზი სანახავია.

სავენახე მიწის ფასი საქართველოს კუთხეების მიხედვით ასეთია:

გურიაში, ჩხავერისთვის საუკეთესო სოფლებში, ჩოხატაურის რაიონში, ერთი ჰექტარი სავენახე მიწის ფასი 1.500-2.000 ლარია.

იმერეთში, ზესტაფონსა და ბაღდათში ერთი ჰექტარი მიწა 1.000-1.500 ლარი დაგიჯდებათ. ქართლში კი მიწის ფასი ყველაზე ძვირია.

მეღვინეობისათვის საუკეთესო ქართლის მტკვრისპირეთის სოფლებში მიწის ფასი 2.000-დან 3.500 ლარამდეა.

მიწას სამეგრელოში დაახლოებით იგივე ფასი აქვს, რაც იმერეთში.

მთიან აჭარაში ყველაზე მერყეევი ფასებია და იქ მიწის შეძენა ბევრად ძნელია. აჭარა საქართველოს ალბათ ერთადერთი კუთხეა, სადაც მოსახლეობის პოპულაციური ზრდა ომის წლებშიც კი გრძელდებოდა. ამან ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბოლომდე ათვისება გამოიწვია. შესაბამისად, თუკი აჭარაში სავენახედ მიწის შეძენა გსურთ, ე.წ. თავისუფალი მიწის იაფად ყიდვის იმედი ნაკლებად უნდა გქონდეთ.

გურიაში თითქმის ყველგან, 2 ჰა ე.წ. სუფთა ფართის გამოყვანა დატერასებით დაახლოებით 5.000 ლარი ჯდება (თუმცა, შესაძლებელია, რომ დატერასება არც დასჭირდეს ბევრს). მიწის ამობრუნება და დარგვა 5.000 ძირისთვის (ანუ დაახლოებით ორ ჰექტარზე) – 3.000 ლარი. რომ შევაჯამოთ და დატერასება გამოვაკლოთ, ერთი ჰექტარი მიწის ყიდვა და ვენახის გაშენება გამოდის: 1.500 ლარი მიწის, 3.000 ლარი ნერგის, 1.500 ლარი დარგვის. აქ არ შედის ნაკელისა და კირის ფასი.

ქართლსა და კახეთში ვენახის გაშენების ხარჯები საშუალოდ რომ დავითვალოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ერთი ნერგის ფასი, დაახლოებით, 1 ლარი (ყველაზე მინიმალური).

ჰექტარზე საჭიროა მინიმუმ 3.500 ცალი ნერგი. მთელი წლის განმავლობაში ვენახისათვის საჭირო აგროტექნიკა თავისი მუშიანად და ტრაქტორიანად ჯდება დაახლოებით 4.000 ლარი ჰექტარზე. ამას უნდა დაუმატოთ ბოძის და მავთულის საფასური. ბოძებს გააჩნია ვინ რას აირჩევს (ბეტონის, ბამბუკის, პლასტმასის და სხვა...) და მათი ფასი დაახლოებით 1-დან 10 ლარამდე მერყეობს.

რა ღირს ვაზის ნერგი?

ვაზის ერთი ცალი ნერგის ფასი (ყურძნის ჯიშის და მისი გამოყვანის სირთულის მიხედვით), 1-დან 5-6 ლარამდეა. ხოლო თუკი სასურველი ვაზის ე.წ. მწარეზე დამყნობას გლეხებს (და არა აგრონომ-სპეციალისტებს) დაუკვეთთ, შეიძლება ბევრად უფრო იაფიც დაგიჯდეთ. მაგალითად, შარშან სოფელ ველისციხეში ადგილობრივი გლეხები რქაწითელის ვაზის ერთ ცალ ნერგს 30 თეთრადაც კი ყიდდნენ.

ხუთი წლის წინ ქართლში (მცხეთის რაიონის ბარის სოფელში) ადგილობრივმა მეღვინემ 5.000 ცალი ჩინურის ნერგი 6.000 ლარად იყიდა. თუმცა, იგივე რაოდენობისა და ხარისხის ნერგებს 7.500 ლარზე ნაკლებად ვერ იშოვით.

გარდა ამ ყველაფრისა, როდესაც ვენახის გაშენებას გადაწყვეტთ, რა თქმა უნდა, ასევე უნდა გაითვალისწინოთ სხვადასხვა ტიპის სამუშაოებზე მუშახელის დაქირავებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებიც. ხარჯების სიდიდე, რასაკვირველია, ვენახის მოცულობის შესაბამისია.

საქართველოში ტონიანი ქვევრები, დაახლოებით, 400-დან 800 ლარამდე ღირს. საშუალოდ, 10 ტონა ღვინის გადამუშავებისა და შენახვის შემძლე მარნის სამშენებლო სამუშაოები ყველაზე ცოტა 20 ათასი ლარი მაინც დაჯდება. უჟანგავი ფოლადის საშუალო, ან დაბალი ხარისხის ავზები (10 ტონიანი მარნისათვის რომ ვიანგარიშოთ) დაახლოებით 5-დან 7 ათას ლარამდე ღირს. თუკი ამ ტიპის ჭურჭელი უფრო მაღალი ხარისხის გსურთ, ახლავე გეტყვით, რომ შესაძლებელია, 15 ათას ლარზე მეტიც კი დაგჭირდეთ. მარნისათვის საჭირო დანარჩენ დანადგარებს, რომლებიც ამ 10 ტონა ყურძენს გადაამუშავებს, დაახლოებით, 7.000 ლარი ეყოფა.

ამ ყველაფრის მარტივად დათვლით გამოდის, რომ საქართველოში საშუალო მოცულობის მარნის მოსაწყობად დაახლოებით 50 ათასი ლარია საჭირო. ჩვენ ვსაუბრობთ მარანზე, სადაც ხარისხიანი ღვინის დაყენების ყველა პრაქტიკული შესაძლებლობა იქნება.

ეკონომიკური თავისუფლების მხრივ საქართველო მე-16 ადგილზეა



მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების ყოველწლიურ ანგარიშში საქართველომ ეკონომიკური თავისუფლებით მე-16 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის. საქართველოს პოზიცია, წინა წელთან შედარებით, 3 ადგილით გაუარესდა.

საქართველოს სარეიტინგო ქულა 76.2-ია, რაც 0.2 ქულით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. საქართველო ევროპის რეგიონის 44 ქვეყანას შორის მეცხრე ადგილს იკავებს და უმეტესად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფშია.

ქვეყნის სარეიტინგო ქულა მსოფლიოს საშუალო ქულას აღემატება.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნულოვანმა ტარიფებმა კი სხვადასხვა მიმართულებით ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი. პრობლემატურ მხარედ სახელდება ნაკლებად განვითარებული საფონდო ბირჟა.

მიმდინარე წელს რეიტინგში პირველი ადგილი ჰონგ კონგმა დაიკავა. მას მოსდევს სინგაპური და ახალი ზელანდია.

ქუმსიშვილი: „შავ ჯიპებს ეკონომიური მანქანებით შევცვლით“

– ჩასანაცვლებელ ავტომობილებს უფრო ეკონომიური მანქანებით შევცვლით.

ამის შესახებ პირველმა ვიცეპრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ავტომობილებზე პრემიერის ინიციატივაზე კითხვის პასუხად განაცხადა.

– ვფიქრობ, ამ მიმართულებით მთავრობის კანცელარია უფრო დაზუსტებულ კომენტარს გააკეთებს. მე რაც შემიძლია გითხრათ, ავტომობილებს, რომელიც ჩასანაცვლებელი იქნება, რა თქმა უნდა, უფრო ეკონომიური მანქანებით შევცვლით, – აღნიშნა ქუმსიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გასულ კვირაში მთავრობას შავი ჯიპებით სიარულზე უარის თქმის ინიციატივით მიმართა. როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, დროა საქართველოში დასრულდეს შავი ჯიპების ეპოქა, რადგან ეს ყველას აღიზიანებს.

– დროა, საქართველოში დასრულდეს შავი ჯიპების ეპოქა იმიტომ, რომ ეს ყველას აღიზიანებს, მათ შორის, არ დაგიმალავთ და მეც. ეს არის რაღაც გარკვეულად დამკვიდრებული პრაქტიკა. ვფიქრობ, როდესაც საუბარი იქნება პარკის შეცვლაზე, ჩვენ ამ შავ ფერზე უარი ვთქვათ.

ვფიქრობ, რომ დროა გადავიდეთ პირველ რიგში, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე და ჩავანაცვლოთ პირველ რიგში, მინისტრების დონზე. მაგრამ ეს ეხება არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთლიანად ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის, ძალოვან უწყებებსაც.

არავის დაუწერია წესი, რომ მაინცდამაინც შავი ჯიპით უნდა იაროს თუნდაც სამართალდამცველმა. ამიტომ ეს დაიწყება მინისტრებისგან, მაგრამ თანდათან ყველგან გავრცელდება. ამას ჩვენ ერთბაშად ვერ გავაკეთებთ, ამას დიდი ფინანსური რესურსი დასჭირდება, მაგრამ მინისტრებმა დავიწყოთ და შემდეგ მოგვბაძავენ სხვებიც, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველოში ბარათებით ოპერაციები 34,5%-ით გაიზარდა

2017 წლის ბოლოს საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულმა საგადახდო ბარათების რაოდენობამ 9.055.256 ერთეული შეადგინა. აქედან 769.598 საკრედიტო ბარათია, ხოლო 8.285.658 – საგადახდო სადებეტო ბარათი.

რეზიდენტი ემიტენტების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელებული ოპერაციების მოცულობამ 2017 წლის დეკემბერში 17.475.381 ერთეული შეადგინა, მთლიანი მოცულობით – 1 897.983.000 ლარი. ბანკომატებით განხორციელდა 1.526.252.000 ლარის მოცულობის 5.913.962 ოპერაცია, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში არსებული პოს-ტერმინალებითა და ინტერნეტით კი 11.514.632 ოპერაცია, მთლიანი მოცულობა 360.642.000 ლარი.

2016 წლის დეკემბერში რეზიდენტი ემიტენტების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელდა 12.989.321 ოპერაცია, მთლიანი მოცულობით 1.274.844.000 ლარი.

შესაბამისად, გამოდის, რომ ერთ წელიწადში ოპერაციების რაოდენობა 34,5%-ით გაიზარდა, თანხის მოცულობა კი – 48,8%-ით.

„მშენებლობებზე რეგულაციები უნდა გამკაცრდეს“

თბილისის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე საკრებულოს ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძემ მშენებლობების უსაფრთხოების ნორმების კიდევ უფრო გამკაცრების აუცილებლობაზე ისაუბრა.

მან რამდენიმე მიმართულება დაასახელა, რომლებშიც საკრებულო მერიასთან ერთად მზად არის, აქტიურად ჩაერთოს.

– როდესაც მსგავს სამუშაოებთან დაკავშირებით პროექტი დგება, მნიშვნელოვანია გაიწეროს ის კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა შედგეს პროექტი. ამასთან, ტენდერი კიდევ უფრო გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს და გამოირიცხოს შემთხვევითობა, რადგან კომპანიამ, რომელიც გაიმარჯვებს, სრულფასოვნად უნდა შეასრულებს სამუშაოები. მნიშვნელოვანია, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა პროექტის ზედამხედველობის მხრივ უფრო მეტი კონტროლი დააწესონ, – განაცხადა რევაზ სოხაძემ.

მისივე თქმით, ხელშეკრულებების დადების მხრივ მერიის სამსახურებმა ერთიანი სტანდარტი უნდა შექმნან.

* * *

საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თუ მისი დასრულების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზები ახალი არ არის.

ბოლო შემთხვევა თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მოხდა, როდესაც ე.წ. შეკიდული ჭერი ჩამოინგრა და რამდენიმე ადამიანი დაშავდა. მანამდე სამუშაოების არასათანადოდ შესრულების ფაქტი დაფიქსირდა მუხიანის დასახლებაში ახლადაშენებულ სარაგბო სტადიონზეც.

სამშენებლო სფეროს ექსპერტები უკვე წლებია ამ კუთხით, კერძოდ, სამუშაოების შემსრულებლის, პროექტის, ექსპერტიზის, შესრულებული სამუშაოს ჩამბარებლისა თუ სამუშაოებზე ზედამხედველობის არარსებობის პრობლემებზე საუბრობენ, თუმცა კონკრეტული დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი დღემდე არ დამდგარა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ როგორ აფასებენ მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარს ექსპერტები.

როგორც ასოციაციის „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე აცხადებს, მომხდარი თბილისის მერიაში არსებული განუკითხაობის შედეგია.

– პასუხისმგებელი პირი არც კი გამოიკვეთება და, შესაბამისად, ეს პრობლემები არ გამოილევა. მეტიც, უფრო გახშირდება. როგორც წესი, ყველა სამუშაო, იქნება ეს სამშენებლო, სარემონტო თუ სხვა, ტენდერზე გადის და სამუშაოების შემსრულებელი კომპანია ამ გზით ირჩევა. თუმცა, ჩვენთან „სატენდერო მაფია“ მოქმედებს და სატენდერო თანხის გარკვეული ნაწილი სწორედ მას მიაქვს. შედეგად კი, მშენებლებს აღარ ჰყოფნით თანხა, რომ სამუშაოების ხარისხიანად შეასრულონ, – აღნიშნა საკანდელიძემ.

პირველ რიგში, საჭიროა, მერიამ საკუთარი სამშენებლო კომპანია დააარსოს, რის შემდეგაც სხვადასხვა ხარვეზებსა თუ დარღვევებზე პასუხისმგებელი თვითონ მერია იქნება.

ექსპერტი სამშენებლო სამართალში უჩა ზაქაშვილი კი მშენებლების არაკვალიფიციურობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ არ შეიძლება სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ მშენებლობით დაკავებულნი.

– ქვეყანაში ისევ გრძელდება სამშენებლო სამუშაოების არაკვალიფიციური ფიგურანტების მიერ წარმოება. სამწუხაროდ, საქართველოში არანაირი ლიცენზია, ნებართვა არ არის საჭირო იმ ადამიანებისთვის, ვინც მშენებლობითაა დაკავებული, ამიტომ ყოველდღიურად სხვადასხვა პრობლემაა – ხან აღმოჩნდება, რომ სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, ხან მშენებლობებზე ადამიანები იღუპებიან და ა.შ. შესაბამისად, ვფიქრობ რომ აუცილებელი და საჭიროა, სახელმწიფომ ამ სფეროს მიმართ დამოკიდებულება გაამკაცროს და გარკვეული სტანდარტები დააწესოს, – აღნიშნა ზაქაშვილმა.

„თავდებში არავის ჩაუდგეთ“

ამ ნიუანსებში და ხელშეკრულებას ხელს ისე აწერენ, არც კითხულობენ. რა ხდება ამ დროს?

– როგორც წესი, საბანკო დაწესებულებებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს თავდებობის ხელშეკრულების ტიპური, შაბლონური ფორმა აქვთ, რომლითაც თავდებში მყოფ პირს მაქსიმალური პასუხისმგებლობა ეკისრება.

ასეთი ხელშეკრულებით თავდები ისევეა პასუხისმგებელი თანხის დაბრუნებაზე, როგორც მსესხებელი, ხოლო თუ ხელშეკრულებაში წერია, რომ ეს არის სოლიდარული მოვალე, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს, თავდებსაც მოსთხოვოს ნასესხები თანხა.

სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში კრედიტორს სრული უფლება აქვს, ასე მოიქცეს. თავდებში მყოფმა პირმა კიდევ ერთი ნიუანსი უნდა გაითვალისწინოს – თუ მსესხებლის ქონება ვერ ანაზღაურებს ნასესხებ თანხას, მაშინ კრედიტორმა შეიძლება თავდებში მყოფ პირს მოსთხოვოს დარჩენილი თანხის გადახდა.

– გამოდის, რომ თავდებში მყოფი პირი დაახლოებით იმავე მოვალეობებს კისრულობს, რომლებსაც მსესხებელი?

– დიახ, ასეა. ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება თავდებობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულებაზე ხელი იძულებით, შანტაჟით, ან დაშინებით მოაწერინეს. თავდებობის ხელშეკრულებაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ ბათილად.

– დავუშვათ, მსესხებელმა სასამართლოს მიმართა. რა შეღავათები შეიძლება გაუწიოს სასამართლომ?

– სასამართლოს შეუძლია, 1 წლის ვადით გადაუვადოს მევალეს ვალდებულების შესრულება, მიუხედავად იმისა, კრედიტორი თანახმაა თუ არა. თუ კრედიტორი და მსესხებელი შეთანხმდებიან, ეს ვადა შეიძლება 3-4 წლამდეც გაიზარდოს. ძალიან ბევრი მსესხებელი ემალება ბანკს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მაგრამ დამალვა უარესია, ჯობს, კრედიტორს პირდაპირ ელაპარაკოთ და ყველაფერი იცოდეთ მოსალოდნელი გართულებების შესახებ.

– თუ მსესხებელიც და თავდებში მყოფიც საზღვარგარეთ წავიდნენ?

– ამ შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს, საქართველოში არსებული მათი ქონება დააყადაღოს და აუქციონზე გაყიდოს. თუ მსესხებელს არანაირი ქონება არა აქვს, მაშინ ის გადახდისუუნაროდ ჩაითვლება.

– ხომ შეიძლება, კრედიტორმა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს მოსთხოვოს თანხის გადახდა?

– არა, სხვა პირებს არანაირი ვალდებულება არა აქვთ, თუ მათ თავდებობის ხელშეკრულებაზე არა აქვთ ხელი მოწერილი. სამწუხაროდ, საქართველოში უამრავი ასეთი ფაქტი ხდება. როცა მსესხებელი ვერ იხდის, თავდებში მყოფი პირი იძულებულია, ვალის მის მაგიერ გადაიხადოს.

თუ ის სოლიდარული მოვალეა და ხელშეკრულებაში წერია, რომ სრული თანხის გადახდაზეა ვალდებული, მოვალეცაა, რომ გადაიხადოს. მაგრამ თუ ხელშეკრულებაზე ხელი არა აქვს მოწერილი, კანონი თანხის გადახდას მსესხებლის დას, ძმას, ან დედ-მამასაც ვერ მოსთხოვს.

– რა ხდება მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში? ვინ უნდა გადაიხადოს მისი ვალი?

– გარდაცვალების შემთხვევაში მსესხებლის ვალდებულებები მის მემკვიდრეებზე გადადის. თუ გარდაცვლილს დიდი ვალები აქვს, ახლობლები მის მემკვიდრეობაზე უარსაც ამბობენ.

– რას ურჩევდით ჩვენს მკითხველს, როგორ აიცილონ თავიდან მსგავსი უსიამოვნებები?

– ყველაფერს სჯობია, თავდებში არავის ჩაუდგეთ და, თუ მაინც გარისკავთ, უნდა იცოდეთ, რომ მსესხებელი გადახდისუნარიანია. კარგად უნდა გავაანალიზოთ და ავწონ-დაწონოთ, ვიდრე ასეთ სარისკო ნაბიჯს გადავდგამთ.

„ჩემს შვილს უკვე აბრალებენ ვიღაცის დანაშაულს“

რას ამბობს ხორავაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულის დედა

– მე მრჩება ასეთი განცდა, რომ გამოძიება არ მიმდინარეობს სამართლიანად. ერთადერთს ვისურვებდი, რომ კონფლიქტში მონაწილე ყველა პირმა შესაბამისად აგოს პასუხი, მათ შორის, ჩემმა შვილმაც, თუ ის დამნაშავეა.

ეს განცხადება 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის საქმეზე დაკავებულის დედამ კურიერთან ინტერვიუში გააკეთა.

ის კურიერთან ინტერვიუს მისი არასრულწლოვანი შვილის უფლებების დასაცავად დასთანხმდა.

დაკავებულის დედა ამბობს, რომ საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც პროკურატურა საზოგადოებას უყვება. ბრალდებულის დედისთვის გაუგებარია, რატომ არ გამოკვეთა გამოძიებამ სხვა მოზარდების პასუხისმგებლობის საკითხი.

მას აქვს ეჭვი, რომ კონფლიქტში მონაწილე რამდენიმე პირს გავლენიანი მფარველი ჰყავს და მისი შვილის წინააღმდეგ მტკიცებულებებს ხელოვნურად ქმნიან.

ფოთში „ლუკოილის“ სადგური გაძარცვეს

ყაჩაღური თავდასხმა მოხდა ფოთში. ნიღბიანმა შეიარაღებულმა მძარცველებმა „ლუკოილის“ ბენზინგასამართი სადგურიდან სალაროში არსებული თანხა წაიღეს.

ბენზინგასამართი სადგურის ხელმძღვანელობა თანხის ოდენობას ჯერჯერობით არ ასაჯაროებს.

შსს-ს ცნობით, გამოძიება 79-ე, ყაჩაღობის, მუხლით მიმდინარეობს.

ნათია მეზვრიშვილი: „კანონიერ ქურდს საზღვარზევე დავიჭერთ“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ქურდული სამყაროს წინააღმდეგ არის შემუშავებული, მოქმედ კანონთან შედარებით გაცილებით მკაცრია.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, როგორც კი კანონიერი ქურდი გადმოკვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაუყოვნებლივ მოხდება მისი დაკავება.

– კანონპროექტით არაფერი შეცვლილა ქურდული სამყაროს წევრის და კანონიერი ქურდის მიერ საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში დაკავებასთან დაკავშირებით.

როგორც კი ეს პირები გადმოკვეთენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაუყოვნებლივ მოხდება მათი დაკავება.

ერთი სიტყვაც ამ მხრივ კანონპროექტში შეცვლილი არ არის. უფრო მეტიც, მთელი რიგი მიმართულებებით ეს კანონპროექტი ითვალისწინებს გაცილებით უფრო მკაცრ მიდგომებს, ვიდრე დღეს მოქმედი კანონით არის ეს გათვალისწინებული, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობისთვის სანქციები იზრდება 15 წლამდე ვადით. ასევე, მთელი რიგი ქმედებები, რომლებიც დღეს დანაშაულს არ წარმოადგენს, ცხადდება დანაშაულად.

– ანუ ფართოვდება იმ ქმედებების წრე, რომელიც დანაშაულად იქნება მიჩნეული. მაგალითად, დანაშაული იქნება ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვა – საკმაოდ მკაცრი სანქციით, დანაშაული იქნება ნებისმიერი პირის მიერ ქურდული შეკრების ორგანიზება და ამგვარ შეკრებაში მონაწილეობა.

დანაშაული იქნება ქურდული სამყაროს და კანონიერი ქურდის, ასევე, ქურდული სამყაროს საქმიანობის ნებისმიერი ფორმით მხარდაჭერა: ეს იქნება ფიზიკური მხარდაჭერა, ეს იქნება ფინანსური მხარდაჭერა თუ ა.შ. მთელი რიგი მიმართულებებით კანონმდებლობა გაცილებით უფრო მკაცრი გახდება, ვიდრე არის დღეს მოქმედი კანონი, – აღნიშნა მეზვრიშვილმა.

ხობში მატარებელმა 78 წლის ქალი გაიტანა

ხობის რაიონის სოფელ ხამისკურთან სამგზავრო მატარებელი 78 წლის ქალს დაეჯახა. იგი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ინციდენტი გამთენიისას მოხდა. დაღუპული რკინიგზის მაგისტრალის მახლობლად ცხოვრობდა და ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

ცენტრალურ რკინიგზის მაგისტრალზე რამდენიმე წუთით მოძრაობა შეფერხებული იყო.

გამოძიება სს კოდექსის 275-ე მუხლით დაიწყო, რაც რკინიგზის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ბათუმში პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის გამო ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმში 1964 წელს დაბადებული რ.შ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მხილებული პირი დროებით მფლობელობაში არსებულ კაფე-ბარსა და სასტუმროში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, მოქალაქეებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდა.

სამართალდამცველებმა ბარსა და სასტუმროში მომუშავე პერსონალი მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპმა ფხენიანელი ლტოლვილები მიიღო

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჩრდილოკორეელი ლტოლვილები მიიღო. ესენი ისინი არიან, ვინც კიმ ჩენ ინის რეჟიმის ტერორს არ შეუშინდა და კამერების წინაშე სიმართლე თქვა.



– ქედს ვიხრი თქვენი ვაჟკაცობის წინაშე, – განუცხადა კორეელებს აშშ-ის პრეზიდენტმა.

ლტოლვილებმა, თავის მხრივ, ტრამპსა და მთელ ამერიკელ ხალხს მადლობა გადაუხადეს.

– აქ, ამერიკაში, პირველად ვიგრძენით, რომ მონები კი არა, ადამიანები ვართ, – უთხრეს მათ პრეზიდენტს.

პენტაგონმა ბირთვული დოქტრინა გამოაქვეყნა

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ბირთვული დოქტრინა გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ აშშ იძულებულია, თავისი ბირთვული არსენალი სრულყოს.

– მაშინ, როცა ამერიკა ბირთვული არსენალის შემცირების გზით მიდის, რუსეთი და ჩინეთი, პირიქით, თავიანთ ბირთვულ არსენალს ზრდიან, – ნათქვამია პენტაგონის ბირთვულ დოქტრინაში.



რაც შეეხება ბირთვული იარაღის გამოყენებას, აშშ ამ ნაბიჯზე მხოლოდ მას შემდეგ წავა, რაც რომელიმე სახელმწიფო ან ტერორისტული ჯგუფი აშშ-ზე ბირთვულ იერიშს განახორციელებს.

– ასეთ ნაბიჯს საპასუხო და გამანადგურებელი დარტყმა მოჰყვება, – ასეთია ამერიკული ბირთვული დოქტრინა.

სირიელმა პარტიზანებმა რუსული საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდეს

სირიაში შეტაკებები არ ცხრება. რუსული სამხედრო კონტინგენტის რიგებში ზარალი იზრდება.

სირიელმა პარტიზანებმა რუსული საბრძოლო თვითმფრინავი სუ-25 ჩამოაგდეს. მფრინავმა კატაპულტირება მოასწრო, მაგრამ ის პარტიზანებმა მოკლეს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი დაადასტურა. სირიელმა პარტიზანებმა გაავრცელეს ვიდეოკადრები, სადაც თვითმფრინავის ჩამოგდებისა და მფრინავის მოკვლის კადრებია აღბეჭდილი.

ესპანეთმა აშშ-ს რუსი ჰაკერი გადასცა

ესპანეთის მთავრობამ აშშ-ს რუსი ჰაკერი ლევაშოვი გადასცა.

ამერიკელები მას კიბერყალთაბანდობაში ადანაშაულებენ. თავად ლევაშოვი დანაშაულს უარყოფს და აცხადებს, რომ უსამართლო დევნის მსხვერპლია.

კორსიკელებს ავტონომია სურთ

საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონის კორსიკაში ჩასვლის წინ ადგილობრივმა ნაციონალისტებმა დემონსტრაცია გამართეს.

– კორსიკელებს ავტონომია სურთ და პარიზთან პირდაპირ დიალოგს მოითხოვენ, – წერს გაზეთი „დენი“.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, რუსული სპეცსამსახურები ცდილობენ, კორსიკაში არეულობა გამოიწვიონ.

– კატალონიაში რუსეთმა სეპარატიზმის აზვირთება ვერ შეძლო. ახლა მორიგი სამიზნე კორსიკა გახდა, – თვლის პორტნიკოვი.

მატისი პოლტორაკს: „აშშ რუსეთზე ზეწოლას გააგრძელებს!“

ვაშინგტონში უკრაინის თავდაცვის მინისტრი, გენერალი სტეპან პოლტორაკი ჩავიდა. ის თავის კოლეგა ჯეიმს მატისს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა უკრაინა-აშშ-ს შორის სამხედრო თანამშრომლობა და დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მატისმა პრესკონფერენციაზე საგანგებოდ აღნიშნა ის წარმატებები, რომლებსაც უკრაინამ სამხედრო აღმშენებლობაში მიაღწია. ამავე დროს, ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ეს საკმარისი არ არის.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა უკრაინული არმია კიდევ უფრო გაძლიერდეს! – განაცხადა მატისმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი დონბასში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. მატისმა თქვა, რომ აშშ-ის მიზანი ჭეშმარიტი და სამართლიანი მშვიდობის დამყარებაა. ამერიკელმა მინისტრმა მიუთითა, რომ მინსკის შეთანხმებები მოსკოვის გამო ირღვევა და ვაშინგტონსაც რუსეთზე ზეწოლის განხორციელება უხდება, რათა ფართომასშტაბიანი ომი არ დაიწყოს.

– აშშ რუსეთზე ზეწოლას კვლავაც გააგრძელებს! – თქვა მატისმა.

გენერალმა პოლტორაკმა საპასუხო სიტყვაში ამერიკელ პარტნიორებს მადლობა გადაუხადა.

– გმადლობთ, რომ რუსეთთან პირისპირ არ დაგვტოვეთ, – თქვა მან.

პოლტორაკმა ხაზი გაუსვა, რომ ჯაველინების უკრაინისთვის მიწოდებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

– ეს არა იმდენად სამხედრო, რამდენადაც პოლიტიკური ნაბიჯია! – ამბობს პოლტორაკი.

ზაპოროჟიეში სტალინისტებს სცემეს

ზაპოროჟიეს ადგილობრივმა პრორუსულმა ძალებმა სტალინგრადის ბრძოლის 75-ე წლისთავის აღნიშვნა ცადეს. აქცია გამართა ორგანიზაცია „უკვდავმა პოლკმა“, რომლის ლიდერი რეგიონალთა პარტიის ზაპოროჟიეს ფილიალის ხელმძღვანელი ანდრეი ივანოვია.

„უკვდავი პოლკის“ წევრები (უმეტესწილად ვეტერანები) ივანოვის მეთაურობით დიდების ხეივნისკენ გაემართნენ, რათა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან ყვავილები დაეწყოთ. მათ სტალინის პორტრეტი და წითელი დროშები მიჰქონდათ.

ამან ხალხი აღაშფოთა – მხოლოდ 1932-33 წლებში სტალინის ბრძანებით მოწყობილი შიმშილობისას 10 მილიონი უკრაინელი დაიღუპა.

ხალხიც ქუჩაში გამოვიდა.

– ძირს იმპერია და მისი დამქაშები! ძირს სტალინიზმი! – სკანდირებდა ხალხი.

ივანოვმა თავს გაქცევით უშველა. ვეტერანებს ასე სწრაფად სირბილი არ შეეძლოთ. აღშფოთებული ხალხი მათ საცემრად იწევდა. პოლიცია მოჩხუბრებს შუაში ჩაუდგა. ვეტერანებმა იქაურობა სტვენისა და ღრიანცელის თანხლებით დატოვეს. ზოგიერთ მათგანს ერთი-ორი წაუთაქეს:

– მოუსვით უკრაინიდან! რუსეთში წაეთრიეთ!

უკრაინელმა პატრიოტმა ლესია სახნომ, რომელიც ზაპოროჟიეს აქციაში მონაწილეობდა, ჟურნალისტებს განუცხადა:

– მეორე მსოფლიო ომი უკრაინისთვის სამამულო ომი არ ყოფილა! ჩვენი სამამულო ომი ახლა დონბასში მიმდინარეობს!

უკრაინელთა 87% სტალინს მე-20 საუკუნის ყველაზე სისხლიან დიქტატორად თვლის. შემდეგ მოდიან ჰიტლერი, მუსოლინი, მაო, ლენინი, ტიტო და ა.შ.

სურკოვს იავლინსკი შეცვლის?

დონბასის ომი გაჭიანურდა. პოლიტოლოგ ფისენკოს ცნობით, პუტინი თავისი წარმომადგენლის, ვლადისლავ სურკოვის, მუშაობით უკმაყოფილოა. სურკოვმა ვერ აიძულა უკრაინა, რომ დონბასის ავტონომიას დასთანხმებოდა, გაჭიანურებულმა ომმა კი 30.000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა; დასავლეთის მიერ დაწყებულმა სანქციებმა რუსეთს უზარმაზარი ზიანი მიაყენა; სარეზერვო ფონდი უკვე აღარ არსებობს; ეკონომიკაში რეცესია გრძელდება.

პუტინმაც სურკოვის შეცვლა გადაწყვიტა.

– შესაძლოა, უახლოეს ხანებში სურკოვი ლიბერალმა იავლინსკიმ შეცვალოს, – თქვა ფისენკომ.

ექსპერტის აზრით, ლიბერალი იავლინსკი დასავლეთის თვალში უკეთ გამოჩნდება. ამას გარდა, რუსეთი დათანხმდა, რომ დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების თანდათანობით განლაგება დაიწყოს. ისინი დონბასის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზეც განთავსდებიან.

რუსმა ექსპერტმა მარკოვმა ეს ინფორმაცია უარყო.

– პუტინს დონბასთან დაკავშირებით პოზიცია არ შეუცვლია. უკრაინა ამ რეგიონის განსაკუთრებულ სტატუსს უნდა დასთანხმდეს, დანარჩენზე კი შემდეგ ვილაპარაკოთ, – ამბობს მარკოვი.

ფსბ-ს გადამდგარი გენერალი, ამჟამად კი რუსეთის დუმის დეპუტატი ალექსანდრე მიხაილოვი თვლის, რომ პუტინი უკრაინის მიმართ უფრო ხისტი უნდა იყოს.

– დადგა დრო, როცა დონბასი რუსეთს უნდა შეუერთდეს! თუკი უკრაინელები წინააღმდეგობის გაწევას გააგრძელებენ, დავარტყათ კიევს, ლვოვს, ჟიტომირს! ჩვენ შეგვიძლია, ეს უკრაინა თვალის დახამხამებაში მიწასთან გავასწოროთ და ასეც უნდა მოხდეს! – აცხადებს მიხაილოვი.

ფსბ-მ ქსენია სობჩაკის წინააღმდეგ საქმე ვერ აღძრა



რუსეთის დუმის დეპუტატმა ვალერი რაშკინმა ფსბ-ს ოფიციალური წერილით მიმართა. დეპუტატმა რუსეთის პრეზიდენტობის პრეტენდენტ ქსენია სობჩაკის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.

– სიენენთან ინტერვიუში სობჩაკმა განაცხადა, რომ ყირიმი უკრაინას ეკუთვნის, რაც რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაა, – ამტკიცებს დეპუტატი.

ფსბ-ს ხელმძღვანელობამ დეპუტატის ოფიციალურ წერილზე ასევე ოფიციალური პასუხი გასცა. მასში ნათქვამია, რომ არ არსებობს სიენენის კადრები, რომლებიც სობჩაკის ბრალეულობას დაადასტურებდა.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, ქსენია ანატოლიევნა სობჩაკის მიმართ საქმის აღძვრა შეუძლებელია, – ნათქვამია ფსბ-ს ხელმძღვანელობის პასუხში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიანური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს.

● ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

„ყველა ვარსკვლავის“ მატჩი-აქცია ქუთაისში

სუპერლიგის 2018 წლის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი-აქცია ქუთაისში გაიმართა და ის საინტერესო ეპიზოდებით სავსე, მაყურებელთათვის საკმაოდ დასამახსოვრებელი გამოდგა. სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეები ქუთაისში ოლ სტარის სათამაშოდ უკვე მეორედ შეიკრიბნენ, რითაც საკმაოდ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. გუნდები რეგიონული პრინციპით დაკომპლექტდა და ერთმანეთს დედაქალაქისა და საქართველოს დანარჩენი ქალაქების გუნდებისგან შემდგარი ნაკრებები დაუპირისპირდნენ.

ოლ სტარისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩა, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეავსეს. რეგიონის გუნდს კოტე ტუღუში (ქუთაისი) და ვლადიმერ ბოსნიაკი (ბათუმი) უძღვებოდნენ, ხოლო „თბილისს“ – ირაკლი ხოშტარია (დინამო) და არჩილ ჟღენტი (კაკტუსი).

მატჩი, ტრადიციულად, სანახაობრივად, ჯარიმების მაქსიმალური სიმცირით წარიმართა. ორივე გუნდის წევრები ცდილობდნენ, ქუთაისის სპორტის სასახლეში მოსული გულშემატკივრისთვის ლამაზი სანახაობა ეჩვენებინათ, რაც თამაშის მსვლელობისას, უფრო კი ჩატენების კონკურსისას გამოუვიდათ.

შეხვედრაში დაცვა არ არსებობდა და, შესაბამისად, მაღალი ანგარიში დაფიქსირდა – 169:158 რეგიონის გუნდის სასარგებლოდ. მატჩის ბომბარდირი გახდა და საბოლოოდ უძვირფასესი მოთამაშის პრიზი დაიმსახურა „ქუთაისის“ წევრმა – გიორგი ბარბაქაძემ. ქუთაისელმა ბომბარდირმა არასრულ 20 წუთში 34 ქულა მოაგროვა. 30 ქულას უწია მისმა თანაგუნდელმა აკაკი ლომოურმა, ილია შემოსიუკმა 27 ქულას მოუყარა თავი. თბილისის გუნდში 30 ქულით ბერნარდ ნკალი გამოირჩა. 26 ქულა დააგროვა მიხეილ ბერიშვილმა, ხოლო ილია ლონდარიძის ანგარიშზე 24 ქულა დაგროვდა.

ოლ სტარის MVP, ქუთაისელი „გიორგი ბარბაქაძე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

ოლ სტარის დღეს იუბილე ჰქონდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულს, რომელსაც 55 წელი შეუსრულდა. მატჩის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი 55-ნომრიანი საქართველოს ნაკრების მაისურითა და სპეციალური პრიზით ქუთაისის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ჭეიშვილმა დააჯილდოვა.

გიორგი ბარბაქაძე, მატჩის საუკეთესო მოთამაშე:

– რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია ეს ტიტული. წელს ჩემს დარბაზში, ჩემს გულშემატკივართან მომიწია თამაში და ბედნიერი ვარ, რომ მათი იმედები გავამართლე. ეს ჩემთვის საუკეთესო მოთამაშის მეორე ტიტულია. სამწუხაროდ, 3-ქულიანებში დავმარცხდი, ვულოცავ ჩემს მოწინააღმდეგეს, წარმატებები მას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებსა და ყველა გულშემატკივარს.

ჩატენების კონკურსი

ეფექტურ გდებებში ერთმანეთს ხუთი მონაწილე ეჯიბრებოდა: ტერიკ ბრიჯმენი, ბერნარდ ნკალი, ტაირელ ნელსონი, კრისტიან ჯონსონი და ბიშოპ დენიელსი. ჟიურის წევრები კი გახლდნენ ვეტერანი კალათბურთელები – გია სანაძე, ზაზა ღონღაძე, მიხეილ აბულაძე და ალეკო პეტრიაშვილი. ფინალში გავიდნენ ტაირელ ნელსონი და ბიშოპ დენიელსი. ორივე მათგანმა პირველ ეტაპზე შესანიშნავი ეფექტური გდებები წარმოადგინა. ფინალში საუკეთესო გახლდათ კლუბ სოხუმის ახალწვეული დენიელსი, რომელმაც საკმაოდ მომთხოვნი ჟიურის წევრებისგან მაქსიმალური შეფასება მიიღო.

ჩატენების კონკურსის გამარჯვებული თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ღონღაძემ დააჯილდოვა.

ბიშოპ დენიელსი, ჩატენების კონკურსის გამარჯვებული:

– დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში ჩამოვედი, თუმცა უკვე დიდი ბატალიები გამოვიარე. ოლ სტარში მოხვედრა ჩემთვის დიდი პატივია, ხოლო ჩატენების კონკურსში გამარჯვებამ ორმაგად გამახარა. ძალიან ძლიერი ოპონენტები მყავდა, რთული და საკმაოდ ლამაზი გდებებიც შეასრულეს, მაგრამ მეც გამომივიდა ჩანაფიქრი და უმაღლესი ქულებით გამარჯვება დავიმსახურე. დიდი მადლობა ჟიურის წევრებს და ქართველ გულშემატკივარს, რომელიც მქომაგობდა.

სამქულიანების კონკურსი

სამქულიანების კონკურსის მონაწილეები პერიმეტრის 5 სხვადასხვა წერტილიდან 5-5 ბურთს ესროდნენ. 25 სროლისთვის მონაწილეს 1 წუთი ჰქონდა გამოყოფილი. თითოეული ჩაგდებული ბურთი 1 ქულად ფასობდა, ხოლო ყოველი წერტილიდან სასროლი ბოლო, მე-5 ბურთი 2-ქულიანი გახლდათ. პირველ ეტაპს 2 ფინალისტი უნდა გამოევლინა.

კონკურსში მიმდინარე სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი მონაწილეობდა – გიორგი ბარბაქაძე (ქუთაისი), რეზო ჩაჩანიძე (რუსთავი), აკაკი ლომოური (ქუთაისი), გივი ბაქრაძე (ოლიმპი), ბრაიან ბერნარდი (რუსთავი) და ილია შემოსიუკი (ბათუმი).

ფინალში პირველად რეზო ჩაჩანიძე (20 ქულა) და გიორგი ბარბაქაძე (17) გავიდნენ. გადამწყვეტი შერკინება რუსთაველმა სნაიპერმა მოიგო. ჩაჩანიძეს 17 ქულა ბარბაქაძემ ვეღარ გადაფარა და ქვემოქართლური გუნდის წევრმა საპატიო ჯილდო მოიგო.

რეზო ჩაჩანიძე ვეტერანმა სნაიპერმა გია სანაძემ დააჯილდოვა.

რეზო ჩაჩანიძე, სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული:

– ძალიან ძლიერი მეტოქეები მყავდა და გამარჯვებამ ძალიან გამახარა. ყველა ოპონენტი გამორჩეულად ისვრის სამქულიანებს და, რა თქმა უნდა, რთული იყო მათი შედეგის გადაფარვა, თუმცა იღბალმაც ხელი შემიწყო და კონკურსის გამარჯვებული გავხდი.

ირაკლი ხოშტარია, ოლ სტარის თბილისის გუნდის მთავარი მწვრთნელი:

– ძალიან სასიამოვნოა, რომ ყველა ვარსკვლავის მატჩი ტარდება ქუთაისში, ეს ქალაქი და ქუთაისელი გულშემატკივარი ნამდვილად იმსახურებს ამას. რაც შეეხება თვითონ ღონისძიებას, მატჩთან ერთად, აქ არის ჩატენებისა და სამქულიანების კონკურსიც. დღევანდელი დღე ემსახურება არა იმას, რომ გამოვავლინოთ გამარჯვებული, არამედ იმას, რომ გულშემატკივარს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს, შევაყვაროთ კალათბურთი. ეს ღონისძიება ტარდება კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით და ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამგვარ დღესასწაულებში.

პაატა გურასპაული, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– ყველა ვარსკვლავის მატჩი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის შოუ, ასე ვთქვათ, კალათბურთის დღესასწაული და მე მოხარული ვარ, რომ ქუთაისში ტარდება წლევანდელი ოლ სტარი. მაყურებელიც ბევრია და ვფიქრობ, რომ დღევანდელი დღე იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ქუთაისში კალათბურთი ძალიან უყვართ და ეს რეგიონი კალათბურთის განვითარებისთვის ყველაფერს აკეთებს.

კოტე ტუღუში, ოლ სტარის რეგიონის გუნდის მთავარი მწვრთნელი:

– ქუთაისი ითვლება კალათბურთის აკვნად საქართველოში, დღევანდელი დღეც კიდევ ერთი ლამაზი დღე იყო ქუთაისში. ასეთი ღონისძიებების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია კალათბურთის პოპულარიზაციისთვის. ძალიან ბევრი ბავშვი დაესწრო თამაშს და ვფიქრობ, რომ ისიამოვნეს, როგორც თამაშით, ისე ჩატენებისა და 3-ქულიანების კონკურსით. იმედია, მომავალშიც მრავალ ასეთ ღონისძიებას ვიხილავთ.

საკანდელიძისა და ქორქიას მემორიალის ფინალში „ქუთაისი“ და „რუსთავი“ შეხვდებიან

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის 4 მეოთხედფინალიდან 2 დაძაბული გამოდგა, ხოლო ორში გამარჯვებული ზედმეტი ბრძოლის გარეშე გამოვლინდა. პირველ შეხვედრაში „მარნეული“ „კაკტუსს“ უგებდა და სოლიდურადაც, თუმცა მეორე ნახევარში არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და 82:76 გაიმარჯვეს.

მეორე ნახევარფინალისტი „რუსთავი“ გახდა, რომელმაც „სოხუმს“ ძალიან იოლად – 103:72 მოუგო. ამ შეხვედრაში უსიამოვნო ინციდენტი დაფიქსირდა, რომელიც ქვემოქართლელთა მოთამაშესა და სოხუმელთა ამერიკელ ლეგიონერს შორის მოხდა. კონფლიქტი მალევე აღმოიფხვრა, მოშუღარენი კი მოედნიდან გააძევეს.

ყველაზე დაძაბული ბრძოლა „ოლიმპსა“ და „მგზავრებს“ შორის გაიმართა. ოლიმპელებს ქუთაისში ტრავმირებული მოთამაშეები მარკ ოგდენი, მერაბ ბოქოლიშვილი, მიხეილ ჭოჭუა და ნიკა დარბაიძე აკლდნენ, რომლებსაც პირველ ნახევარში ტრავმირებული რეზო როგავა დაემატათ. განახევრებულმა ოლიმპელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ – 79:76.

მეოთხე ნახევარფინალისტი მასპინძელი „ქუთაისი“ გახდა, რომელმაც „ა“ ლიგის წარმომადგენელი – „წყალტუბო“ 96:80 დაამარცხა. წყალტუბოელები პირველ ტაიმში ტოლ-სწორად ეთამაშნენ ქუთაისელებს, თუმცა ბოლომდე ვერ გაუძლეს სწრაფ ტემპს და დამარცხდნენ.

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის ფინალში „ქუთაისი“ და „რუსთავი“ შეხვდებიან.

ამ გუნდებმა ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართული ნახევარფინალები მოიგეს. ქვემოქართლელებმა ფინალში გასასვლელი შეხვედრა „კაკტუსს“ 81:71 მოუგეს, ხოლო ქუთაისელებმა გზიდან „მგზავრები“ ჩამოიშორეს – 79:66.

ზაზა ფაჩულიამ მოხსნებში რეკორდი დაამყარა

ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე სეზონის რეკორდი დაამყარა მოხსნებში. ეს მან „საკრამენტოსთან“ 119:104 მოგებულ შეხვედრაში მოახერხა.

ზაზა შეხვედრაში თავიდანვე აქტიური იყო, პირველი ტაიმი 6-6 ქულა-მოხსნით დაასრულა, ხოლო მესამე პერიოდში, ვიდრე მწვრთნელი სათადარიგოთა შორის დააბრუნებდა მისი მონაგარი ასეთი იყო: 22 წუთი, 8 ქულა (6-დან 4 ორქულიანი), 13 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

მესამე პერიოდის დასრულებამდე 4 წუთით ადრე, როდესაც „გოლდენ სტეიტი“ 80:66-ს იგებდა, ქართველის ნაცვლად მოედანზე დრეიმონდ გრინი გამოვიდა. მალე ზაზას სათადარიგოებში სტეფ კარიც შეუამხანაგდა და საკრამენტოელებმაც გაილაღეს: მეოთხე პერიოდის დასაწყისში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს – 88:89.

მწვრთნელმა კარი დროულად დააბრუნა, ზაზას გამოჩენასა და მის 113 დუბლს ამაოდ ველოდით. მონაგარიც ის დარჩა, რაც მესამე პერიოდში ჰქონდა.

რაც შეეხება „გოლდენ სტეიტს“ ბოლო წუთებზე გუნდი პერიმეტრზე ბოლომდე გაიხსნა, ჯამში 17 სამიანი ჩააგდო და, როგორც მოგახსენეთ, 119:104 გაიმარჯვა.

გამარჯვებულებს 33 ქულით კევინ დურანტმა ულიდერა. სტეფ კარიმ 23 ქულა მოაგროვა.

უორიორსი“ მომდევნო მატჩს ასევე სტუმრად ნიკა ცქიტიშვილის ყოფილ გუნდ „დენვერთან“ გამართავს 4 თებერვალს, თბილისის დროით დილის 6 საათზე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკელმა მამაკაცმა, ციხეში რომ ჩამჯდარიყო, ინვალიდ გოგონას სცემა

მამაკაცმა თავის მეგობარ ინვალიდ გოგონას ხელი დაარტყა, ამის შემდეგ ის სავაჭრო ცენტრში წაიყვანა, რათა მისი საქციელის თაობაზე მოეყოლა და იგი დაეპატიმრებინათ.



ფლორიდის შტატის მცხოვრებმა პატრიკ მოანმა თავის მეგობარ ინვალიდ გოგონას მარჯვენა ყურის არეში დაარტყა, თუმცა, იმის გამო, რომ ორი კვირის წინ მამაკაცმა მას ტელეფონი დაუმტვრია, პოლიციის გამოძახება ვერ შეძლო. მაშინ პატრიკმა გადაწყვიტა, გოგონა უახლოეს მაღაზიაში მიეყვანა, სადაც მასზე პოლიციაში განცხადების შესაძლებლობა მიეცემოდა, ვინაიდან „მას ციხეში ჯდომა მოუნდა“.

მოანის დაპატიმრების თაობაზე შედგენილ პოლიციის მოხსენებაში მამაკაცმა განაცხადა, რომ გოგონაზე ზრუნვისა და „ყველგან მისი ეტლით ტარებისგან“ დაიღალა, ასევე აღნიშნა, რომ მობეზრდა მის მზრუნველად ყოფნა და გადაწყვიტა, თუ მას ხელს დაარტყამდა და შემდეგ ამ დანაშაულს აღიარებდა, მასზე ზრუნვისგან გათავისუფლდებოდა, ხოლო „თავად ქალი უკვე სახელმწიფოს პრობლემად იქცევა“.

თავად გოგონამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის შეყვარებულს მათი ორწლიანი ურთიერთობის განმავლობაში მასზე ხელი ადრეც აუწევია. ის სამი კიდურის გარეშე დაიბადა და მხოლოდ ერთი მოკლე ფეხი აქვს.

გერმანული სოფლის მყიდველი ნანობს და ფულის დაბრუნება სურს

აღმოსავლეთ გერმანიაში მდებარე სოფლის მყიდველს შენაძენზე უარის თქმა და ფულის უკან დაბრუნება სურს.

უცნობმა მამაკაცმა გერმანული სოფელი ალვინი ბრანდენბურგის მიწაზე გასული წლის დეკემბრის ბოლოს აუქციონზე 140 ათას ევროდ იყიდა. ახლა კი მას ამ შენაძენზე უარის თქმა სურს. მან შეთანხმებას „იურიდიულ ძალას მოკლებული“ უწოდა, ვინაიდან დასახლებული პუნქტის შეძენის სურვილი ტელეფონით გამოთქვა.

ანდრეას კლაუსმა, გერმანული ქალაქის იბიგაუვარენბრიუკის მერმა, რომლის იურისდიქციის ქვეშაც იმყოფება სოფელი ალვინი, განაცხადა, რომ ხვდებოდა, მსგავსი რამ მოსალოდნელი იყო. ის სოფლის მყიდველს დეკემბერში შეხვდა და აღნიშნა, რომ შეცბუნებული გახლდათ დასახლებული პუნქტის სავალალო მდგომარეობით.

აუქციონის სახლის ხელმძღვანელმა მათიას კნაკემ განაცხადა, რომ იურიდიული საკითხი მოგვარების პროცესშია. მყიდველის არგუმენტებს სუსტად არ მიიჩნევს. მანამდე, სანამ საკითხი აუქციონის სახლსა და მყიდველს შორის არ მოგვარდება, სოფელი მისი ყოფილი მფლობელის საკუთრებაში დარჩება, რომელმაც ის 2001 წელს ერთ გერმანულ მარკად შეიძინა.

სოფელში სულ 12 საცხოვრებელი სახლია, ასევე არის რამდენიმე ავტოფარეხი და ფარდული. ამჟამად იქ 20 ადამიანი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა პენსიონერია. სახლები ავარიულ მდგომარეობაშია.

ბრაზილიელი გოგონა ოჯახის გადასარჩენად ქალიშვილობას ყიდის

ბრაზილიელმა გოგონამ აღიარა, რომ საკუთარი ქალწულობის გაყიდვას აპირებს, რათა ამით საკუთარი ოჯახი გადაარჩინოს. მისი ისტორიით ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა დაინტერესდა.

როზალი პინიომ განაცხადა, რომ მას უკვე სთავაზობენ 500 ათას ევროს ერთი ღამისთვის და იმედი აქვს, მაისისთვის ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება. 19 წლის გოგონა ამტკიცებს, რომ ასეთი ნაბიჯისკენ ოჯახის სიღატაკემ უბიძგა.

– მე ამას ოჯახისთვის ვაკეთებ. ჩვენ შვიდნი ვართ: დედაჩემი, ორი ძმა და სამი და. მას შემდეგ, რაც ათი წლის წინ მამამ მიგვატოვა, ჩვენი საქმე სულ უფრო უკან მიდის, – ამბობს გოგონა. მისი თქმით, მათ ოჯახში მხოლოდ უფროსი ძმა მუშაობს და მისი ერთი თვის ხელფასი, 165 ევრო, კომუნალურ გადასახადებს ძლივს ჰყოფნის.

– ჩვენ დღეში მხოლოდ ერთხელ ვჭამთ საჭმელს. ჩვეულებრივ, ეს ბრინჯი და ძალიან ცოტა ხორცია, – დაამატა პინიომ.

გოგონა ზოგჯერ დროებით სამუშაოს პოულობს, მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონისა და ინსტიტუტში სწავლის გამო მუდმივ სამუშაოზე მოწყობას ვერ ახერხებს.

გოგონა მიიჩნევს, რომ ეს ქალიშვილობის დაკარგვის უკეთესი საშუალებაა და საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებულია. მან პოტენციური მყიდველისთვის წესების სია შეადგინა: მან უნდა წარმოადგინოს საბუთი, რომ არ აქვს ვენერიული და სხვა დაავადებები, ვალდებულია იყოს დაცული და ფხიზელ მდგომარეობაში. პინიო მასთან 12 საათის გატარების უფლებას მხოლოდ ერთ მამაკაცს მისცემს, რომელსაც არ ექნება მასზე ისეთი მოქმედებების განხორციელების უფლება, რომელიც მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე იმოქმედებს.

მისი გადაწყვეტილების თაობაზე არაფერია ცნობილი მშობლებისა და მეგობრებისთვის. თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ გოგონა აპირებს, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდეს და იქ დედას სახლი უყიდოს, ასევე გადაიხადოს კოლეჯში სწავლის ფული, წამოიწყოს საკუთარი საქმე და მშვიდად იცხოვროს.

კენგურუ ველოსიპედისტს დაახტა და გაიქცა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში გზაზე მიმავალ ველოსიპედისტ ქალს კენგურუ დაახტა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ვიდეოზე დაშავებულის ნაცნობმა გადაიღო. ცხოველი იმ დროს გამოხტა მოულოდნელად, როდესაც ქალი გზაზე ველოსიპედით მიდიოდა. კენგურუ მას დაეჯახა, რის შემდეგაც გზის მეორე მხარეს გაიქცა, სადაც სხვა კენგურუები იმყოფებოდნენ.

ქალი ასფალტზე დაეცა და მსუბუქი ტრავმები მიიღო. საავადმყოფოში მას დაცემის შედეგად დაშავებულ მუხლზე ნაკერები დაადეს. ქალს ასევე კენგურუსთან შეჯახების შედეგად დაუზიანდა მხარიც და გარკვეული დროის განმავლობაში იძულებული იქნება, მარჯვენა ხელზე სახვევი ატაროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დელფინები ქალის პროთეზმა დააინტერესა

ამერიკელმა ქალმა, რომელსაც ხელის პროთეზი ჰქონდა, ოკეანორიუმის დელფინების გუნდი გააოგნა.

ვიდეოზე, რომელიც ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა, ჩანს, რომ ქალი აკვარიუმის მინის კედელთან დგას და საკუთარი ხელის პროთეზის დემონსტრირებას ახდენს. ამან აკვარიუმში მყოფი დელფინი დაინტერესა, მინის კედელთან მიცურდა და ქალის მექანიკური ხელის თვალიერებას შეუდგა, რამდენიმე წამში კი მის გარშემო სხვა დელფინებმაც მოიყარეს თავი და ისინიც დიდი ინტერესით შეუდგნენ ქალის პროთეზის თვალიერებას.

ყოფილმა მეძავმა საკუთარი პროფესიის ჩრდილოვან მხარეზე ისაუბრა

სექსინდუსტრიის ყოფილმა მუშაკმა და მწერალმა გვინეტ მონტენეგრომ პროფესიის გაფეტიშებაზე ისაუბრა.

მისი თქმით, მას რჩევისთვის, თუ როგორ მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება სექსინდუსტრიაში, 12 წლის გოგონები მიმართავენ. ის ამ ყოველივეში საზოგადოებასა და მასმედიას ადანაშაულებს, რომლებიც ამ საქმიანობას აფეტიშებენ. მწერალი ყველას მოუწოდებს, მეძავთა რეალურ პრობლემებზე ისაუბრონ, რათა ქალებმა სიმართლე იცოდნენ.

მონტენეგროს თქმით, მეძავ გოგონებს ჩვეულებრივ მდიდარი ადამიანების გარემოცვაში გაუთავებელ მოგზაურობებში მყოფებს წარმოადგენენ.

– ამ დროს კი რეალობა სულ სხვაგვარია, – ირწმუნება მონტენეგრო.

ასევე ყოფილი მეძავი გოგონებს აფრთხილებს, რომ სექსინდუსტრიის მუშაკები ხშირად ფიზიკური ძალადობის ობიექტებად იქცევიან და ფსიქოლოგიურ პრობლემებს აწყდებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიჯანვოხდი



1. ვივიენ ...; 2. სატურნის თანამგზავრი; 3. ქამანდი; 4. კედლის მაღალი სარკე; 5. ავღანეთის ენა; 6. სუბტროპიკული კულტურა; 7. სწორი, ბალახოვანი სივრცე მშრალი ჰავის ზონაში; 8. ყვავილი; 9. დარბაზობა (მოძვ.); 10. ინდოელი კინორეჟისორი (XXს.); 11. ბერძნული ანბანის ასო; 12. ყაზახი პოეტი-მომღერალი; 13. სურსათ-სანოვაგე; 14. იაპონური ავტომარკა; 15. ბატონი (ინგლისურად); 16. მწერიჭამია ბალახი; 17. მაუგლის მეგობარი პითონი; 18. ექსპერიმენტი; 19. ნაოსნობა, ზღვაოსნობა; 20. ჩრდილოეთის ქარი სამხრეთ საფრანგეთში; 21. სიგანე, სიფართოვე; 22. ნელა, დინჯად (მუს.); 23. კიმ ...; 24. იაპონური თეატრი; 25. ქიმიური ელემენტი; 26. ნათურებში გამოყენებული გაზი; 27. ბილიარდის ჯოხი; 28. ლანგარი; 29. ... ლინკოლნი; 30. ...-მუსიკა, ...-ოპერა; 31. მთავარი საწყობი; 32. ქალიშვილო (ინგლისურად); 33. ... გიბსონი; 34. ინდური ეპოსი; 35. ველი, მინდორი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ⲁ

შვეულად: 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯუღელი; 6. სააბი; 7. ბოჰემია; 11. სკივრი; 13. პიანინო; 14. ყანწი; 15. ვეჯვუდი; 16. პუდინგი; 17. კაკადუ; 19. ატომი; 20. ვიზა.

თარაზულად: 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. ღალა; 10. უოლესი; 12. ბეითალი; 14. ყავა; 15. ვალენსია; 16. პანჩი; 18. ლავრა; 21. კანოე; 22. გურზუფი; 23. მადიარი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ⲃ

შვეულად: 1. კაფი; 2. ემუ; 3. რეზონანსი; 4. ვოლგა; 5. ლაუდერი; 8. რური; 9. ტოსკანა; 10. პაზოლინი; 12. მახვში; 13. კაენი; 15. ამება.

თარაზულად: 1. კაბერნე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. პროზა; 11. თრუსო; 13. კაკაო; 14. წყალი; 16. ვერე; 17. იმერეთი; 18. ბოტასი.

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲝᲖᲘ

5 თებერვალი

ᲕᲔᲠᲫᲘ – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **ᲙᲣᲠᲝ** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **ᲒᲚᲣᲞᲔᲑᲘ** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲑᲘ** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **ᲚᲝᲛᲘ** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **ᲥᲐᲚᲬᲚᲘ** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **ᲦᲠᲘᲐᲜᲥᲐᲚᲘ** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘ** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – რომანტიკული შეხვედრა გუნება-განწყობას გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ნუცა შანშიაშვილი ამერიკაში ორი პრიზით დააჯილდოვეს

„ყოველთვის მზად ვარ, ვუმღერო ჩემს ხალხს“

ქართველი მომღერალი ნუცა შანშიაშვილი ამერიკაში ორი პრიზით დააჯილდოვეს.

მომღერალი, რომელიც წლებია აშშ-ში ცხოვრობს, ნიუ იორკის მერიამ და ადმინისტრაციამ ნიუ იორკის ხელოვნებაში განვითარების წვლილის შეტანისთვის დააჯილდოვა. მოგვიანებით კი ნუცას ვლადიმერ ვისოცკის სიმღერა „კონის“ უბადლოდ შესრულებისთვის ჯილდო გადაეცა.

„ახალი თაობა“ ნუცა შანშიაშვილს ამ სიახლეების შესახებ ესაუბრა.

ნუცა შანშიაშვილი:

– ვლადიმერ ვისოცკი იყო ჩემი დედისა და მამის მეგობარი და პატარაობიდანვე ბევრი მახსოვს მის შესახებ. ძალიან მოხარული ვარ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ანუ ნიუ იორკში ჩატარდა მსგავსი ნომინაციით დაჯილდოება. მე მხვდა წილად ვლადიმერ ვისოცკის ჯილდო, თუ არ ჩავთვლით იმ დიდ ამბავსაც – ამ ჯილდომდე ნიუ იორკში ქალაქ ნიუ იორკის მერიამ და ადმინისტრაციამ გადმომცა ასევე დაჯილდოების საბუთი, ნიუ იორკის ხელოვნებაში განვითარების წვლილის შეტანისთვის. ამას უკვე ერთ თვეში ვისოცკის ჯილდოც მოჰყვა.

– რასთან ასოცირდება თქვენთვის ვისოცკის შემოქმედება?

– ვისოცკის შემოქმედება ასოცირდება დიდ თავისუფლებასთან, ემოციასთან, პოეტურ სიძლიერესთან და ხელოვანი ადამიანის დაუშრეტელ ძალასთან.

– ხშირად ასრულებთ მის სიმღერებს?

– ვასრულებ მის ერთ სიმღერას „კონი“ და თვლიან, რომ თავად ვისოცკის მერე ყველაზე კარგი შემსრულებელი ვარ ამ სიმღერის. მაგიტომაც დამაჯილდოვეს.

– რომელია თქვენთვის გამორჩეული სიმღერა ვისოცკის რეპერტუარიდან?

– ყველა სიმღერა გამორჩეულია, მაგრამ მე მიყვარს „კონი“ და „ოხოტა ნა ვოლკოვ“, რომელსაც, იმედია, მალე ვიმღერებ.

– ელოდით, რომ ვოსოცკის პრიზით დაჯილდოვდებოდით?

– არა არ ველოდი და დიდი სიურპრიზი იყო ჩემთვის ეს ჯილდო.

– რა სიახლეებს ჰპირდებით თქვენს გულშემატკივართა დიდ არმიას?

– რაც შეეხება ვისოცკის, გეგმაში გვაქვს უკრაინელ პროდიუსერ მიხაილ ბონდორენკოსთან ერთად მონოსპექტაკლის დადგმა, სადაც მე ვითამაშებ და ვიმღერებ ვისოცკის სიმღერებს... არ ვიცი, როდის განხორციელდება, იმდენად, რამდენადაც ნიუ იორკში მქონდა ახალი სოლოპროექტი საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტ დიანა ბაგრატიონთან ერთად, რომელიც გახლდათ ორგანიზატორი ამ ახალი სოლოკონცერტისა „მე და როიალი“ ბულგარელი ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად.

ახლა მზადდება კიდევ ერთი ახალი დიდი სოლო კონცერტი, სადაც სრულად, ჩემი ახალი სიმღერების გარდა, უნიკალურ მუსიკოსებთან ერთად, იქნება წარმოდგენილი ჩემი ფერწერული ნახატები... ეს იგეგმება ამ წელს და ასევე გასტროლები საკონცერტო პროგრამით „მე და როიალი“.

– საქართველოში თუ გეგმავთ ჩამოსვლასა და კონცერტის გამართვას?

– საქართველოში ყოველთვის ვგეგმავ ჩამოსვლას... მენატრებით და, ამის გარდა, მისახედი მაქვს ბევრი საქმე. ერთ-ერთია ჩემი მამის, ჯემალ შანშიაშვილის, სახლ-მუზეუმის საპრეზენტაციო გახსნა.

რაც შეეხება კონცერტს, ყოველთვის მზად ვარ, ვუმღერო ჩემს ხალხს. ეს დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომლებიც აწარმოებენ საქართველოში კონცერტებს. ვნახოთ. მე, პირადად, ყოველთვის მზად ვარ, ვემსახურო საქართველოს ჩემი ხელოვნებით.

დემნა გვასალიას კროქსები რამდენიმე საათში სრულად გაიყიდა

ბალენსიაგას ქართველი შემოქმედებითი ხელმძღვანელი დემნა გვასალია მსოფლიო მოდის გაოცებას წარმატებით აგრძელებს.

დიზაინერის მიერ მოდის მოყვარულებისთვის შეთავაზებული კროქსები კრიტიკის საფუძველი გახდა. მას ყველაზე მახინჯი ფეხსაცმელი უწოდეს. ამის მიუხედავად, კროქსებისადმი ინტერესი იმდენად მაღალია, რომ 850 დოლარად შეფასებული ფეხსაცმელი წინასწარი შეკვეთებით რამდენიმე საათში სრულად გაიყიდა.

ბალენსიაგას კროქსების წინასწარი შეკვეთა ექსკლუზიურად ნიუ იორკში გახდა შესაძლებელი. მოდური პრესა ისევ შოკში ჩავარდა, რადგან წინასწარ შეკვეთებით 850 დოლარად შეფასებული დემნა გვასალიას კროქსები რამდენიმე საათში სრულად გაიყიდა.

მაკა რაზმაძე ტელეკომპანია „იბერიიდან“ გაუშვეს

ჟურნალისტი მაკა რაზმაძე ტელეკომპანია „იბერიიდან“ გაუშვეს.

ინფორმაცია ჟურნალისტმა თავად გაავრცელა:

– შევუერთდი ჩვენი ქვეყნის უმუშევართა დიდ არმიას. მახსოვს, წლების წინ როცა ტელევიზიაში ვმუშაობდი, ტყვიებზე მივდიოდი, ომის წინა ხაზზე ვიყავი – დეპეშა მივიღე სამსახურიდან ხვალიდან ნუღარ მოხვალ, აქ აღარ მუშაობო. დეჟავიუ... სე ლა ვი...

ახლაც ასე დეპეშასავით ორსიტყვიანი სმს და სრულიად შეცვლილი ცხოვრება. საბანკო ვალდებულებები, დავალიანებები და გაურკვეველი ხვალინდელი დღე....

თუმცა ესაა ცხოვრება და, როგორც ადრე, არც ახლა მეშინია. არც ახლა დამაკარგვინებს სახეს გაჭირვება, როგორც აქამდე არ დამაკარგვინა. არც ახლა ვაპირებ სხვებზე გადაბრალებებსა და სხვების საქციელზე ლაპარაკს.

კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა და კიდევ ერთხელ ვდგავარ უცნობი მომავლის პირისპირ. კიდევ ერთხელ მომიწევს თავიდან დაწყება და ძველი ტკივილების გადავიწყება...

კიდევ კარგი, შორს წასვლა არ მომიწევს. ისედაც სულ ხალხი ვიყავი მეც და ხალხად დავრჩები. ჩვენ ერთნი ვართ და ერთად ყველაფერს გადავიტანთ! რაც მთავარია, ღირსებით და ღირსეულად გადავიტანთ, როგორც აქამდე და როგორც ყოველთვის. ადიოს „იბერია“.

ტორესა მოსი დაქორწინდა



მწერალი ტორესა მოსი დაქორწინდა. ქორწინების ამსახველი ფოტო ინტერნეტში გავრცელდა. ტორესასა და მის მეუღლე ქეთის ფოტო იუსტიციის სახლში აქვთ გადაღებული. წყვილი 2 წელია ერთად ცხოვრობს, თუმცა ხელის მოწერა მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს.

ქეთი:

– ყველას უდიდესი მადლობა მოლოცვისა და კეთილი სურვილებისთვის. თუმცა აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, ამ ფურცლის გარეშეც ბედნიერი ოჯახი ვიყავით, თანაც უკვე 2 წელია. უბრალოდ, საოჯახო დაზღვევა გვინდოდა.

ტორესა მოსი:

– მე დავამატებდი, რომ ამ რეაქციამ და ამდენი ხალხის გულთბილმა მოლოცვამ დამაფიქრა, ქორწილიც ხომ არ გადავიხადოთ. არადა, თავის დროზე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. მადლობა ყველას და თქვენი სითბო და სიყვარული, რაც მივიღეთ, შეუფასებელია ჩვენთვის.

მომღერალი გიორგი თოდუა სკანდალში გაეხვია

რუსეთში მოღვაწე ქართველი ოპერის მომღერალი გიორგი თოდუა სკანდალში გაეხვია.

მარინის თეატრის მომღერალმა აფხაზეთში, გალის კულტურის სახლში ქართული სათვისტომოსთვის გამართულ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. ხელოვანი თბილისში დაიბადა, მაგრამ გალში გაიზარდა, რის გამოც იქაურობა მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია.

გიორგი თოდუამ ერთ-ერთ გამოცემას ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, რომ აფხაზეთში ადამიანებისთვის გაუსაძლისი პირობებია და ისინი ვაკუუმში ცხოვრობენ. ხელოვანის თქმით, ცუდ პირობებს ფსიქოლოგიური სტრესიც ემატება.

როგორც მომღერალმა ინტერვიუში აღნიშნა, აფხაზეთში ჩამოსვლამდე და კონცერტის გამართვამდე მან თავისი პირობები წამოაყენა:

– სანამ აქ ჩამოვიდოდი და კონცერტს გავმართავდი, ჩემი პირობები მქონდა. ეს იყო ჩემი ჩამოსვლა, ჩემი დაბრუნება სამშობლოში და არა აფხაზეთის სახელმწიფოში. არ ვიცნობ აფხაზეთის მთავრობის არცერთ წარმომადგენელს და მათთან შეხვედრა და საუბარი არც მიცდია. გალში ჩამოსვლისას მთხოვეს, სოხუმშიც გამემართა კონცერტი, მაგრამ უარი განვაცხადე. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ სოხუმში კონცერტს მაშინ გავმართავ, როცა იქ ღირსეულად ჩასვლას შევძლებ. მსურს, ჩემი საყვარელი ადგილები ისევე მოვინახულო, როგორც საქართველოს ნებისმიერი კუთხე.

გიორგი თოდუას ამ ინტერვიუს აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. გალის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა თემურ ნადარაიამ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და მომღერალს პროვოკატორი უწოდა. როგორც ნადარაიამ განაცხადა, გიორგი თოდუასთვის აფხაზეთში დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ დაკეტილია.

გიორგი თოდუას განცხადების გამო მისმა ბიძამ ავთანდილ თოდუამ აფხაზ ხალხს ბოდიში მოუხდა. როგორც ავთანდილ თოდუამ გალის ტელევიზიას განუცხადა, გიორგის მიერ გაკეთებული განცხადება კარგი საქციელი არ არის:

– მისგან ამას როგორც მე, ისე არც ნათესავები და აფხაზეთის მცხოვრებლები არ ელოდნენ. მინდა ბოდიში მოვუხადო აფხაზეთის მცხოვრებლებს მისი საქციელის გამო. ის ჩამოვიდა კონცერტისთვის და არ აღიარებს ამ რესპუბლიკას. ეს მისი მხრიდან არ არის კარგი საქციელი. ჩვენ ამას განვიცდით და ძალიან სამწუხაროა, რაც მოხდა.

ყვარელში ყოფილი კინოთეატრი დაიწვა

ყვარელში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი კინოთეატრის შენობა დაიწვა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ჯგუფები მუშაობდნენ. ყვარლის სახანძრო-სამაშველო ჯგუფმა დახმარებისთვის თელავისა და გურჯაანის სახანძრო ჯგუფებიც გამოიძახეს. მეხანძრეებმა ხანძრის ლოკალიზება შეძლეს.

როგორც ყვარლის მერმა ჟურნალისტებს განუცხადა, ხანძარი ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე ყოფილ კინოთეატრში გვიან ღამით გაჩნდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
5 თებერვალი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ჯეტრინე**" **10.00, 01.40** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **12.15** "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე **13.00** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.30, 20.00, 07.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **14.10** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30, 06.00** დოკ/ფ **16.30, 04.25** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** მხ/ფ "**არ დანებდე**" (მ.ვასიკოვსკა) **23.45** მხ/ფ "**საერთასორისო აგენტი** " (ნ.უოტსი) **02.40** მხ/ფ "**კადილაკ რეკორდსი**" (ე.ბროუდი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფაპორიტი**" **23.30** სერ. "**ღირსების საქმე**" **4** სერ. **01.00** მხ/ფ "**ქვით მაკკოლის მეორე მცდელობ**" **02.35** მხ/ფ "**შიდა ფრონტი**" **04.40** მხ/ფ "**იუმას მატარებელი**"

06.00, 18.50, 20.03 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** კომედის კონცერტი **2015 23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv ვირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამენაზე შეჭვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.10** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები **2**" **09.00** სერ. "**ერთხელ ზლაპარში-3**" **12.00, 21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 9**" **17.00** სერ. "**ფარი**" **1-2** სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 3**" **22.30** სერ. "**ვიკინგები-2**" **00.30** მხ/ფ "**სახის გარეშე**" **03.00** მხ/ფ "**შავი მოქცევა**" **05.00** მხ/ფ "**ნიქსონი**"

08.00 ანნდა **08.10** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 00.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 3.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 01.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.05** სერ. "**ბაცცუულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **2.00** თავისუფალი სივრცე

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" **07.40** ეთნოგრაფია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** სატელევიზიო სპექტაკლი "**ბედი ქართლისა**" **11.00** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" **14.00** კონცერტი - როლანდო ვილაზონი **15.10** სპექტაკლი "**ჩემი პატარა ქალაქი**" **18.15** მოკ/ფ "**მათთვის, ვინც მამამ მიატოვა**" **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** "განთიადი" (გამ) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** მოკ/ფ "**მეზობლები**" **22.20** ფოტოგალერეა **22.25** დ/ფ "ოტია იოსელიანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ "**პეიტარი**" **00.30** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბალებს**" I-II სერ. **02.50** კონცერტი - ტონი ბენეტი **04.00** მხ/ფ "**ნიურნბერგის პროცესი**" I-II სერ.

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.4638

ევრო — 3.0763

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5040

100 რუსული რუბლი — 4.3768

ამინდის პროგნოზი 5 თებერვლისთვის

1 თებერვლიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

6 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი ტომი 6-7

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ბავშვისთვის მშობლებთან ძილი სიცოცხლისთვის სახიფათოა

ბრიტანეთის განათლების დეპარტამენტმა ჩვილი ბავშვების მშობლებთან ძილის დროს სიკვდილიანობის სტატისტიკა გამოაქვეყნა: ამ მიზეზით წელიწადში საშუალოდ 133 ან კვირაში სამი ბავშვი იღუპება.

მეცნიერებმა სტატისტიკა წლების მიხედვით გამოაქვეყნეს: დიდ ბრიტანეთში მშობლებთან ძილის დროს 2017 წელს 141 ჩვილი დაიღუპა, 2016 წელს – 131, 2015 წელს – 121, 2014 წელს – 141 და 2013 წელს – 131.

დეპარტამენტის წარმომადგენელი ფრენსინ ბიეტსი ბრიტანელებს ურჩევს, რისკის ყველა ფაქტორი გაითვალისწინონ, რომელიც წარმოიშვება მშობლებთან ერთად ჩვილის ძილის დროს.

– მოულოდნელად დაღუპვის შანსები იზრდება, თუ თუნდაც ერთი მშობელი მაინც ეწევა, ალკოჰოლი ან ნარკოტიკი მიიღო ძილის წინ ან, უბრალოდ, გადაღლილია. ასევე რისკის ჯგუფში არიან უდღეური და ნაკლებწონიანი ჩვილები, – აღნიშნა ბეიტსმა.

ბრიტანელ მოსწავლეებს „პადინგტონის“ ნაცვლად პორნო უჩვენეს

ბრიტანეთის ერთერთ სკოლაში მოსწავლეებს დათუნია პადინგტონზე გადაღებული მეორე ფილმის ნაცვლად შეცდომით პორნო უჩვენეს. ამ ინციდენტის გამო სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებს მოსწავლეების მშობლებისთვის არ მოუბოდიშებიათ.

ინციდენტი ბრიტანეთის ქალაქ უოლსოლში მოხდა. მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, ცხრა წლის ბავშვებისთვის კარგი ქცევისთვის ფილმი „პადინგტონის თავგადასავლები 2“ ეჩვენებინათ, მაგრამ მის ნაცვლად ეკრანზე პორნოგრაფიული ვიდეორგოლი გამოჩნდა.

სკოლის თანამშრომლებმა მომხდარი „კონტენტის ფილტრაციის პრობლემით“ ახსნეს: ბავშვებს ფილმს ონლაინრესურსიდან უჩვენებდნენ ისე, რომ ჩვენებამდე მასწავლებლებს ჩანაწერი არ შეუმოწმებიათ.

სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებს დაუგზავნა წერილები, რომლებშიც აცნობა, რომ სასწავლო დაწესებულების თანამშრომლები ამოწმებენ მომხდარს და მსგავსი ინციდენტის განმეორებას აღარ დაუშვებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ცოლი ქმარს საყვედურით ეუბნება:

– რა სულელი ვიყავი, თაყვანისმცემლების მთელი ბრბო დამდევდა, მე კი ყველა უარით გავისტუმრე.

– რა სამწუხაროა, რომ იმ ბრბოში მეც არ მოვხვდი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როგორ იტან შენს ცოლს, სულ უხასიათოდაა, სულ ბუზღუნებს, ყოველ წვრილმანზე ჩხუბობს. ოდესმე კარგ ხასიათზე თუ ყოფილა?

– ღმერთმა ნუ ქნას, თორემ, როდესაც კარგ ხასიათზეა, სიმღერას იწყებს!

•••

სამ დამნაშავეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და უფლება მისცეს, ციხეში რაიმე ერთი ნივთი იქონიონ. დამნაშავეები მანქანით ციხეში გადაჰყავთ და ერთს ეკითხებიან:

– აბა, რა მოგაქვს?

– ტუჩის გარმონი წამოვიღე. იქ ისე ვისწავლი მასზე დაკვრას, რომ დიდი მუსიკოსი გავხდები.

იმავეს ეკითხებიან მეორე პატიმარს:

– აბა, რა მოგაქვს?

– ფუნჯებისა და საღებავების ნაკრები. ცხოვრების ბოლომდე ისეთ ხატვას ვისწავლი, რომ პიკასოზე ნაკლები არ ვიქნები.

მესამე პატიმარი კი შეკითხვაზე პასუხობს:

– ტამპონების შეკვრა წამოვიღე.

ყველამ გაოცებისგან პირი დააღო. ბოლოს ერთ-ერთი ეკითხება:

– რაში გჭირდება ტამპონები?

– აი, აქ აწერია, რომ მასთან ერთად შემიძლია ვისრიალო თხილამურებზე, ვიცურაო აუზში, გადმოვხტე პარაშუტით და სპორტით ვიყო დაკავებული.

•••

ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთმა შეამჩნია, რომ მეორეს საყურე უკეთია და ეკითხება:

– რა, ამ სიბერეში მოდას აჰყევი?

– საყურეს გულისხმობ? ნუ მიაქცევ ყურადღებას, ზოგჯერ ასეცაა საჭირო.

– და დიდი ხანია მაგას ატარებ?

– მას მერე, რაც მეუღლემ ჩვენს საწოლთან იატაკზე დაგდებული საყურე იპოვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

მგლის ბილიკი

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

კამეჩებმა სპლიყვი ლომებს გამოსტაცეს

ტურისტი ქალი, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საფარიში მონაწილეობდა, ლომების სპლიყვზე თავდასხმის თვითმხილველი გახდა. მის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე კრიუგერის ეროვნული პარკის გვერდზე იქნა განთავსებული. სწორედ იქ მოხდა ეს მოვლენა.

ვიდეოს ავტორმა, 63 წლის ჯილ მეთიუზმა, განაცხადა, რომ ლომების ჯგუფი შენიშნა, რომლებიც წყალსატევთან იყვნენ ჩასაფრებული, რომელსაც ცხოველები წყლის დასალევად იყენებენ. როდესაც ბუჩქებიდან სპლიყვი გამოვიდა და წყლისკენ გაემართა, მტაცებლები მაშინვე თავს დაესხნენ. მოზრდილი სპილოები, რომლებიც სპლიყვის დაცვას შეძლებდნენ, ახლომახლო არ აღმოჩნდნენ.

ხმაურმა კამეჩების ყურადღება მიიპყრო, რომლებიც იქვე ახლოს ბალახობდნენ. მათ ლომების იქ ყოფნა არ მოეწონათ და ისინი წყალსატევიდან გაყარეს. სწორედ ეს სცენა მოხვდა ვიდეოზე.

– ლომები ერთმანეთის მიყოლებით მიიმალნენ, – ამბობს მეთიუზი, – სპლიყვი წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა დამბისკენ, სადაც სპილოების წყვილი იმყოფებოდა.

მტაცებლებმა შენიშნეს, რომ სპლიყვი მარტო დარჩა და ისევ თავს დაესხნენ. ხშირმა ბუჩქებმა მეთიუზს ხელი შეუშალა იმის დანახვაში, თუ რა ხდებოდა ადგილზე. მისი თქმით, ლომების პრაიდი 15-18 ლომისგან შედგებოდა. სავარაუდოდ, მათ მაინც მოახერხეს სპლიყვის ხელში ჩაგდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. უმაღლესი სამხედრო წოდებულება რიგ არმიებში; 3. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 8. აღლუმი; 10. მხიარული შინაარსის პიესა; 11. ქვეყნის შეიარაღებული ძალები; 12. რამდენიმე წყვილის ფრანგული ცეკვა; 14. დაუქორწინებლობა; 15. უპირატესი მდგომარეობა, პირველობა; 16. ბაღჩეული კულტურა; 19. ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი; 20. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 21. წარჩინების ნიშანი ლითონის მრგვალი, წარწერიანი ფირფიტის სახით.

შვეულად: 1. შხამიანი ბალახოვანი მცენარე; 2. ციტრუსი; 3. სამხედრო ან სამოქალაქო ფორმის ტანსაცმელი; 4. თმის საღებავი; 5. საავტომობილო სპორტის სახეობა; 6. აბელის მკვლელი; 7. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 9. გეომეტრიული სხეული; 13. ჭადრაკის ფიგურა; 17. „... მბორგალი“; 18. ნუსხა, ჩამონათვალი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ